N16/2946/ 4 თებერვალი 2014 წ PRESS ფასი 1 ლ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან



ეს ოქროს მაღარო არის ბლეფი, კულტურის სამინისტრო კი, არბიტრის ნაცვლად, გახდა მხარე... დროა, მინისტრმა მიიღოს გადაწყვეტილება...

## ვინ არის ქართველი პროკურორი, ვის გამოც კეზერაშვილი გაათავისუფლეს?



## როგორ ხსნიან ყალბი პლასტიკური ბარათებით თანხებს

### და რა დონეზეა ჩვენი ანგარიშები დაცული?



## სექსუალური დანაშაულის კანონში ცვლილებები შედის



### რა მიზნით „ჩააწყო“ სააკაშვილმა მიუნხენში ჩასვლის უფლება?



ექსკლუზივი

### მთავარი პროკურორის გასაიდუმლოებული ბრძანება

რა აეკრძალათ თანამშრომლებს?



### სინოდში „აი-დი“ ბარათების გამო დაპირისპირებაა?



### ჯარში ვინც წავა, სწავლის ფულს გადაუხდიან?



### იყო თუ არა ბადრი ბიწაძე 2007 წლის აქციის დაშლის ინიციატორი?



### ჰაერის ტემპერატურა 20 გრადუსამდე დაეცემა



გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადებით, ყინვა გაძლიერდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

სინოპტიკოსების პროგნოზით, ტემპერატურა აღმოსავლეთ საქართველოში 6 თებერვლამდე -15 გრადუსამდე დაეცემა, ზოგ რაიონში კი -20-მდე. ყინვები დასავლეთ საქართველოში შემდგომ დღეებშიც გაძლიერდება და -3-დან -7-მდე გრადუსს მიაღწევს.

აღმოსავლეთ საქართველოში თოვა შეწყდება. სინოპტიკოსების პროგნოზით, 6 თებერვლიდან დაიწყება დათბობა, თუმცა სუსტი ყინვა გარკვეული დღეების განმავლობაში მაინც შენარჩუნდება. (ინტერპრესნიუსი)

### ანზორ ჩუბინიძე თანამდებობაზე შემცვლელის შერჩევამდე დარჩება



ანზორ ჩუბინიძე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მისი შემცვლელის შერჩევამდე დარჩება. როგორც ჩუბინიძემ განაცხადა, მისი სავარაუდო შემცვლელის კანდიდატურა მისთვის ჯერ ცნობილი არ არის. მისი განმარტებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მუშაობაში შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით, თანამდებობაზე შემცვლელის დასახელებამდე და მისთვის უფლებამოსილების გადაბარებამდე დარჩება.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს. ირაკლი ღარიბაშვილი კი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება.

სამსახურის მოქმედი უფროსი ანზორ ჩუბინიძე თანამდებობას პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე ტოვებს. არსებული ინფორმაციით, მას ამ თანამდებობაზე გიორგი მღებრიშვილი შეცვლის, რომელიც ამჟამად სტრატეგიული ობიექტების დაცვის სამმართველოში მუშაობს. (ინტერპრესნიუსი)

## გზებზე შეზღუდვები მოქმედებს

უამინდობის გამო, საავტომობილო გზებზე გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს. ინტენსიური თოვისა და ლიპყინულის გამო საავტომობილო გზებზე დაწესებულია შემდეგი სახის შეზღუდვები: ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის სასადილო-თელავის (კმ28-კმ65) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა ვაზიანი-შუამთის (კმ32-კმ56) მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინაალმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის ლახამულა-კალა (კმ102-კმ182) მონაკვეთში აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა კმ102-კმ138 (ლახამულა-მესტია) თავისუფალია, ხოლო მესტია-კალა (კმ138-კმ182) დასაშვებია მოცურების საწინაალმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მლეთა-კობის მონაკვეთზე ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინაალმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება ზვავდამცავი გვირაბების გავლით. მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა გვირაბებში განხორციელდება ცალმხრივად. აღნიშნულ მონაკვეთზე ავტომანქანების მიმოსვლისას იკრძალება მათი გაჩერება. (ინტერპრესნიუსი)



**საქმეში უკეთ გარკვევისთვის დავუკავშირდით „საფარის" ხელმძღვანელს ბაია პატარაიას:**

– მოკლედ, იცვლება გაუპატიურების დეფინიცია და ეს არის ისეთი სახის სექსუალური კონტაქტის იძულება, რომელიც არ არის გაუპატიურება, მაგრამ სხვა ქმედებას მოიცავს.

# სექსუალური დანაშაულის კანონში ცვლილებები შედის

სისხლის სამართლის კოდექსის სქესობრივი დანაშაულების თავში ცვლილებების შეტანა იგეგმება. კავშირი „საფარი" და „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი" საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცვლილებების საკუთარ პროექტს სთავაზობს. კავშირ „საფარის" აღმასრულებელი დირექტორის ბაია პატარაიას განცხადებით, ცვლილებების პროექტში ჩნდება ახალი მუხლები და დეფინიციები. მაგალითად, იცვლება გაუპატიურების დეფინიცია, რაც პატარაიას ინფორმაციით, აქამდე მოცემული არ იყო. ასევე ქრება მუხლები, რომელიც ცალკე გამოყოფდა გაუკუღმართებულ ქმედებებს, მამათმავლობას. კოდექსში შემოდის ახალი მუხლი - გადაკიდება.

„გარდა ამისა, იყო მთელი რიგი დანაშაულები, რომელიც ჩვენს სივრცეში არ არსებობდა და პროკურორებს უწევდათ, მუქარაში გაეყვანათ, ან სხვა დანაშაულის კვალიფიკაცია მიეცათ კონკრეტული სქესობრივი ხასიათის დანაშაულებისთვის", – განმარტა პატარაიამ.

ცალკეულ ნორმებში ცვლილებების შეტანის საჭიროებაზე საუბრობს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძეც. მისი თქმით, იუსტიციის სამინისტრო დიდი ხანია, სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვასა და სისხლის სამართლის რეფორმაზე მუშაობს. მისივე თქმით, ბევრი რამ მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში გადასინჯვას მოითხოვს.

„ჩვენ თითქმის დავამთავრეთ მუშაობა ზოგადი ნაწილის გადასინჯვაზე. ახლა ვიწყებთ მუშაობას კერძო ნაწილის გადასინჯვაზე, როგორც სანქციების კუთხით, ასევე ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შემადგენლობის კუთხით. სექსუალური ხასიათის დანაშაულებში რომ ბევრი რამ საკმაოდ მოძველებულია შემადგენლობის კუთხით, ეს სრულიად აშკარაა. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა მომზადებული კანონპროექტის ფონზე, რომელიც ძალიან საინტერესოდ მეჩვენება. ჩვენ ნამდვილად ვიმუშავებთ ამ ვერსიაზე და ბევრ რამეს გადავიღებთ, თუ ყველაფერს არა", – აღნიშნა ბარამიძემ.

**რითია მნიშვნელოვანი ახალი ცვლილებები და რა სიახლეს ამატებენ არასამთავრობოები სისხლის სამართლის კოდექსს?**

**— კონკრეტულად?**

– მაგალითად, ისეთი ფიზიკური კონტაქტის იძულებას, რომელიც არ არის უშუალოდ შეღწევა, მაგრამ არის ისეთი შეხების იძულება, რომელიც არ სურს მსხვერპლს და მას აიძულებენ. რაც შეეხება „გადაკიდებას", ესაა სრულიად ახალი მუხლი, ამას იცნობს ევროპული და ამერიკული კანონმდებლობა „სტოლქინგის" სახელით და ამ სიტყვას არც თარგმნიან, ისეა უკვე მიღებულ ფორმად, რაც ნიშნავს განმეორებითი ხასიათის შევიწროებას, დევნას, მუქარას, რაც მსხვერპლში იწვევს ნერვიულ სტრესს, საფუძვლიან შიშს და აიძულებს მსხვერპლს, ცხოვრების წესი შეცვალოს.

**— თქვენ ამბობთ, რომ არსებობს მთელი რიგი დანაშაულები, რაც ჩვენს სივრცეში კონკრეტულად არ არსებობდაო?**

– იყო ისეთი ტიპის დანაშაულები, რომლებიც გადმოტანილი იყო საბჭოთა კოდექსიდან და სხვაგან არსად რომ არ მოიპოვება, ევროპულ სახელმწიფოებს ვგულისხმობ და ამ დროს შინაარსით რომ ძალიან ჰგავდა გაუპატიურებას, იგივე მამათმავლობა, ლესბოსელობა და სექსუალური კონტაქტის იძულება. აქამდე გაუპატიურებაში მოიაზრებოდა მხოლოდ ის, როცა მამაკაცი ქალს აუპატიურებს, ახლა პირდაპირ დაიწერა, რომ ასეთ ქმედებაში ანალური სექსიც შედის და სხვა ტიპის გაუპატიურებებიც.

**— რამ გამოიწვია დღეს ამ მუხლების დამატება?**

– ამ მუხლების შეცვლა ისედაც იგეგმებოდა, რადგანაც მოძველებული იყო, ამის შეცვლის რეკომენდაციებს გვაძლევდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც, რათა საერთაშორისო შესაბამისობაში მოსულიყო მუხლები. რაც შეეხება ახალი მუხლების დამატებას, ეს დრომ მოიტანა, იგივე – გადაკიდება. ამის ძალიან ბევრი მსხვერპლი არსებობს და რადგანაც კოდექსში არ არსებობდა ამის შესატყვისი, აქამდე ამ ქმედებას ჩვენში მუქარის მუხლს უფარდებდნენ, ან მარტო შემაკავებელი ორდერით შემოიფარგლებოდნენ.

**— პარალელურად, მკაცრდება არა სასჯელი ამ ცვლილებებთან დაკავშირებით?**

– რამდენიმე თვის წინ ამ სახის დანაშაულთან დაკავშირებით ისედაც გამკაცრდა სასჯელი, ამიტომ ამაზე არ არის საუბარი, საუბარია იმაზე, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს კოდექსის მიღმა და მთავარია, ჩვენ მოვიცვათ ყველა დანაშაული კოდექსის საშუალებით. ჩვენ ყველა დანაშაულს თავის სახელს ვარქმევთ, რაც რეალურად არსებობს. ჩვენ დიდი სამუშაო ჩავატარეთ და ახლა უკვე იუსტიციის სამინისტროში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი და მუშაობა ბოლომდე გაგრძელდება, სანამ კანონში ცვლილება პარლამენტში წარსადგენად გამზადდება.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

## კრწანისში სახლი დაიწვა



ძლიერი ხანძრის შედეგად კრწანისის რაიონში ორსართულიანი სახლი დაიწვა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცნობით, ხანძრის შესახებ შეტყობინება 03.05 საათზე მიიღეს. შემთხვევის ადგილზე 16 სახანძრო მანქანა და ორი სამაშველო ჯგუფი გავიდა. მთლიანად დაიწვა ხოდაშენის ქუჩა №5-ში ე.წ. იტალიურ ეზოში მდგარი 1000 კვადრატული მეტრი ორსართულიანი სახლი. როგორც მეხანძრეები აცხადებენ, ძლიერი და სწრაფი ხანძარი სახლის სიძველემ გამოიწვია. კერძოდ, შენობას კედლების ტიხრები და სახურავი ხის მასალის ჰქონდა. ხანძრის გამომწვევ მიზეზებს ექსპერტიზა დაადგენს. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. (ინტერპრესნიუსი)

## საქალაქო სასამართლოსთან ერთი ადამიანი დააკავეს




თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, ვანო მერაბიშვილისა და ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერებს შორის მომხდარი დაპირისპირების დროს ერთი ადამიანი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, დაკავებულია ოთარ თავართქილაძე, რომელიც ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერია.

„დემოკრატიული მოძრაობის" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები „თავისუფალი ზონის" მიერ ორგანიზებულმა აქციამ და მისმა სლოგანმა: „ბურჯანაძეების ოჯახი – „გრუ"-ს ჯაშუშები" გააღიზიანა, რასაც სასამართლოს ეზოს შესასვლელთან ახალგაზრდებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რატომ გარდაიცვალა 16 წლის გოგონა?




გარდაცვლილი 16 წლის მარიამ ჩავლეიშვილის ახლობლები მომხდარის რამდენიმე ვერსიაზე საუბრობენ. მათი ინფორმაციით, გოგონა კლასელებთან ერთად ერთ-ერთი მეგობრის სახლში იმყოფებოდა. როგორც პედაგოგები ყვებიან, მარიამი მეგობრის სახლიდან ღამით რამდენიმე წუთით გავიდა, თუმცა უკან აღარ დაბრუნებულა. მეგობრებმა კი, რომლებთან ერთადაც ის იმყოფებოდა, ჩათვალეს, რომ ის სახლში წავიდა და ძებნა აღარ დაუწყეს.

ერთ-ერთი ვერსიით, ეზოში გასულ გოგონას ყინულზე ფეხი აუცურდა და წაიქცა, რის შედეგადაც გონება დაკარგა და გაიყინა.

ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, მათ შორის არის თვითმკვლელობამდე მიყვანა. თუმცა, როგორც საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, რომლებმაც გოგონა გარდაცვლილი იპოვეს, ცხედარს ძალადობის კვალი არ აღენიშნება. გარდაცვლილი პროზექტურაში გადაასვენეს. მიმდინარეობს ცხედრის ექსპერტიზა.

თბილისში გოგონას ცხედარი 2 თებერვალს, 31-ე ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. (ინტერპრესნიუსი)

## ბიომეტრიული სიის ფორმირება ვერ ესწრება



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ბიომეტრიული საარჩევნო სიის ფორმირება ვერ ესწრება. საარჩევნო კანონმდებლობაში რამდენიმე თვის წინ ჩაიდო სპეციალური მუხლი, რომლის მიხედვითაც, 2014 წლის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ერთიანი სია ბიომეტრიულ რეგისტრაციაგავლილი მოქალაქეებით უნდა ყოფილიყო ფორმირებული. კანონში დევს ის წესებიც, რომელთა მიხედვითაც, ბიომეტრიული სია უნდა შექმნილიყო, თუმცა, როგორც მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, დროისა და ფულის ფაქტორების გამო, მოახლოებული არჩევნებისთვის ბიომეტრიული სიის შექმნა ვერ ესწრება.

დეპუტატის ცნობით, ბიომეტრიის გამოყენებით არსებული სია „გაორებებისგან გაიწმინდება". „ბიომეტრიული სია იქნება, ოღონდ ამჯერად ვერ გაკეთდება ისე, რომ სიაში მხოლოდ ის ადამიანები იყვნენ შეყვანილი, ვინც პირადად გამოცხადდება და ახალ სურათს გადაიღებს. ამის გაკეთება, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო, მაგრამ გაკეთდება სხვანაირად. კერძოდ, მონაცემთა ბაზაში არსებული ყველა ფოტოსურათის გადაყვანა მოხდება ციფრულ ფორმატში, ანუ იქცევა ბიომეტრიულ ფოტოსურათად და პროგრამულად მოხდება თითოეული სურათის შედარება ყველა დანარჩენ ფოტოსურათთან. პროგრამა დაადგენს ისეთ სურათებს, რომელთაც ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო, ანუ დაადგენს იმას, რომ სხვადასხვა პირია. ასევე, პროგრამა დაადგენს საეჭვო სურათებსაც, რომელიც შეიძლება იყოს ერთი და იმავე პირთა სურათები სხვადასხვა სახელითა და გვარით, ან სხვადასხვა მისამართით. ყველა ასეთი საეჭვო სურათი და საეჭვო მონაცემი ფიზიკურად გადამოწმდება, შემოწმდება თითოეული ეს პირი. შემოწმდება მისამართზე გასვლით, ამ პირთან კონტაქტით და ასეთნაირად გამოირიცხება, სიიდან ე.წ. გაორებები", – განაცხადა ხმალაძემ.

დეპუტატმა აქვე ისიც აღნიშნა, რომ ეს შემთხვევა ვერ იძლევა პასუხს იმაზე, პირი, რომელიც საარჩევნო სიაშია, მოცემული მომენტისთვის იმყოფება თუ არა საქართველოში და არის თუ არა აქტიური ამომრჩეველი. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# სინოდში „აი-დი“ ბარათების გამო დაპირისპირებაა?



**სიტუაციაში უკეთ გასარკვევად, „ალია“ საპროტესტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს, „მართლმადიდებელთა კრებულის“ ხელმძღვანელს ზაზა ნანობაშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ზაზა, მეუფე იობის განცხადება ბევრმა ადამიანმა მოისმინა. რა ხდება საპატრიარქოს პოზიციასთან დაკავშირებით, ხომ არ იცით?**

– ის ფაქტი, რომ ხალხი მოლოდინშია, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული და პასუხს ვერ ეღირსა, ეს ცხადია. იუსტიციის სახლთან დგას ხალხი ყინვასა და სიცივეში და არავინ აქცევთ ყურადღებას. პრაქტიკულად იმისკენ არის მიმართული სახელმწიფო პროგრამები, რომ გაუკუღმართების ლეგიტიმაცია მიმდინარეობდა ქვეყანაში და ერთი პატრიარქის მიკროფონი უფრო დიდი აღმოჩნდა, იმიტომ რომ იმას უსმენს ერი. ეს კარგად იციან და ის მართლმადიდებლობის ფესვი, რომელზეც დგას ქვეყანა, ამაზე მუშაობენ ყველაზე მეტად. იციან, აქედან თუ შეირყა ქვეყანა, მერე მისი დამორჩილება ადვილია. „ნაციონალები“ იმდენად მძლავრად არიან მოკალათებული სინოდშიც, რომ პატრიარქს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ აქვს. მეუფე იობისნაირი ხალხი, ახალ მთავრობას, წესით, ხელისგულზე უნდა ეტარებინა.

„ალიას“ მკითხველი დაუკავშირდა, „ამდენი ხანია ალტერნატიული პირადობის მოწმობის დაშვების მოთხოვნით აქციებს ვმართავთ. „აიდი“ ბარათებთან დაკავშირებით საპატრიარქომ პოზიცია შეცვალა და იუსტიციის სამინისტროს დასთანხმდა „ჩიპიანი“ ბარათების შესახებო“. მან „მაესტროში“ გასული 2-წუთიანი მასალაც გადმოგვიგზავნა, სადაც მეუფე იობი ამბობს, საპატრიარქომ ჯერ თქვა, ალტერნატიული ბარათის რეკომენდაციას მივცემ ხელისუფლებას, საღამოს კი გადაწყვეტილება შეცვალაო. ფაქტია, ამ მომენტისთვის საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, ხოლო საპატრიარქოს მკვეთრი პოზიცია არ დაუფიქსირებია.

მართლმადიდებლები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ომია გამოცხადებული, ოღონდ თუ მშვიდობიანი ფორმით გაუვათ ეს, უფრო ურჩევნიათ. ინდოელებს, ჩინელებს, ეთიოპიელებს აძლევენ მოქალაქეობას და საბუთის გამო საკუთარ მოქალაქეებს ქვეყნიდან დევნიან. ამ ბარათებს თუ არ აიღებენ, გამოდის, რომ მათ მოქალაქეობა არ აქვთ. ახალმა მთავრობამ ძველ მეთოდებს მიმართა და დაიწყო ეკლესიის პოლიტიზება.

**— რას გულისხმობთ?**

– ექვსი დაფინანსებული მიკროფონი მუშაობდა და სხვადასხვა არხები ეკლესიის წინააღმდეგ, ქართული ტრადიციის წინააღმდეგ მაუწყებლობდნენ. ათი მცნების მეუფე იობმა, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, რადგან ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში იყო, ასე ვთქვათ, სახიფათო ნაბიჯები გადადგა და „ქართულ ოცნებას“ გვერდით დაუდგა, „ოცნება“ კი, რომ მოვიდა ხელისუფლებაში, მისი თხოვნა არ გაითვალისწინეს, თუნდაც ამ ელექტრონულ ბარათებზე. ჩვენ იმდენს მივაღწიეთ ხელმოწერებითა და მეუფის დახმარებით, რომ სინოდმა დაუშვა მეორე მუხლი, იმასთან დაკავშირებით, რომ ეთხოვოს სახელმწიფოს, დაიშვას ალტერნატიული მოწმობები.



**— როგორც გავიგე, იუსტიციის მინისტრს შეხვედრიხართ. რაზე ისაუბრეთ?**

– ქალბატონ თეას, როგორც რეჟისორმა, ჩამოვუტანე რვა ქვეყნის 2013 წელს გამოცემული პირადობის მოწმობები, ყველგან უარყოფილია, ეს ელექტრონული, ერთ სისტემაში გაერთიანებული ბარათები. ჰაკერებმა გაამზადეს ბარათები, მუშაობა მიდის, რომ ჰაკერების მეშვეობით, ჯერ გაავრცელებენ „აიდიზაციას“, მერე მსოფლიო თემად გახდიან და ამას ჩვენნაირი ჩამორჩენილი ქვეყნებიდან დაიწყებენ. მერე თვითონ ჰაკერები გაატეხინებენ ამ ყველაფერს. მერე ქონება რომ არ დაეკარგოს ადამიანს, ფაქტის წინაშე დააყენებენ, რომ ჩიპი ჩაიდგან ხელში ან შუბლში. ეს უკვე ძალიან ცნობილი თემაა ჩვენი ხელისუფლება კი თავისი ქმედებით ისეთ ეჭვებს იწვევს, უკვე თემა მიდის ისე, რომ საკუთარი ადამიანების სულებით ვაჭრობს. სახელმწიფო კი არაფერს აკეთებს. უფასოდ ურიგებენ სტუდენტებს, ლტოლვილებს, 17-22 წლამდე ახალგაზრდებს. ყველგან საზღვარგარეთ ისე გვიცნობენ, როგორც ყველაფრის მკადრებლებს, მთავრობიდან დაწყებული ქურდბაცაცით დამთავრებული. ოღონდ ფული მოგვცენ და ყველაფერს ხელს ვაწერთ, გაიყიდა ყველაფერი. ოღონდ ვინმეს ფული ეჩვენებინა და ყველაფერს ყიდდნენ „ნაციონალები“. ცვლილებასაც ვერაფერს ვატყობ, გრძელდება იგივე „აიდიზაცია“, „ლჯბტ“-ზაცია, სოდომიზაცია, ბავშვების, ახალგაზრდების გახრწნა. ეს იდეოლოგია, რაც მთავარი იყო, არ შეცვლილა.

**— რა საუბრებია ამ თემასთან დაკავშირებით სინოდში? აპირებს საპატრიარქო დათმობას?**

– საპატრიარქომ გააკეთა განცხადება, რომ ამ „აიდი“ ბარათების ალტერნატივა დაუშვას სახელმწიფომ. ეს რომ იყოს ნორმალური ქვეყანა, წესით, საკმარისი უნდა ყოფილიყო ეს მოწოდება. ახალ მთავრობას შეეძლო, გამოეყენებინა საპატრიარქოს ეს განცხადება და ადამიანების მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.

**— თუ ვერაფერს მიაღწევთ, ამ ყინვაში რატომ დგახართ გარეთ?**

– ჩვენ უბრალოდ ვიბრძვით იმისთვის რომ ადამიანები მოქალაქეობის გარეშე არ დარჩნენ. ბევრი მაინც არ აიღებს მაგ ბარათს. თუ კარგი პროდუქტია, შენი დადე და მიეცი ხალხს თავისუფლება, თვითონ აირჩიონ. მსოფლიო მაგალითები ვუჩვენე მინისტრს, ვისაც უნდა აიღებს, ვისაც უნდა – არა. სწორედ ეს ძალადობაა დამაფიქრებელი, ადამიანების დიდ ნაწილს ეჭვი გაუჩნდა, რომ ეს არის დაკავშირებული სწორედ შემდგომ ძალადობრივ „დაჩიპვასთან“.

**იმაში გასარკვევად, თუ რა არის საპატრიარქოს საბოლოო პოზიცია „აიდი“ ბარათებთან დაკავშირებით „ალია“ საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსს მარიამ გაგუას დაუკავშირდა, მან მოისმინა სახელი და გვარი, საიდან ვურეკავდი, რა მაინტერესებდა და ტელეფონი გათიშა.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

## სოჭის ოლიმპიადაზე საკონსულოს წარმომადგენელს მიავლენენ



საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, ქართული მხარე სოჭის ოლიმპიადაზე შვეიცარიის ინტერესთა სექციის ფარგლებში, საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელს მიავლენს. მისი თქმით, უსაფრთხოების იმ ზომებს, რომელსაც საფრანგეთი და თუნდაც ბრიტანეთი იღებს, ქართული მხარე ვერ მიიღებს თავის სპორტსმენებთან მიმართებაში, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს.

„გარკვეულწილად, უსაფრთხოების კომპონენტი – უშუალოდ ჩვენ ვერ ვიყოთ ჩართული, შეზღუდულია, თუმცა გვაქვს რწმუნება ორგანიზატორების მხრიდან, რომ ქართველი ოლიმპიელების უსაფრთხოებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ჩვენ მივავლენთ სოჭში, შვეიცარიის ინტერესთა სექციის ფარგლებში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელს, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დარჩება სოჭში, მისი ქმედებები იქნება შესაბამისი ჩვენი კანონმდებლობის. ტერიტორიულად ის იქნება შვეიცარიის სექციის ტერიტორიაზე, რადგან შვეიცარია ჩვენი ინტერესების სექციაა რუსეთში“, – განაცხადა ზალკალიანმა.

მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, საკონსულოს წარმომადგენელი 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრო უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მასთან დაკავშირება. (ინტერპრესნიუსი)

# ნანა კაკაბაძეს კომპიუტერიდან ინფორმაციები მოჰპარეს



**არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე განცხადებას ავრცელებს. „ჩემი ელექტრონული ფოსტიდან იგზავნება მცდარი ინფორმაციის შემცველი წერილები, თითქოს დავკარგე ტელეფონი, ფული, ვიმყოფები უკრაინაში და ვითხოვ 2500 დოლარის გაგზავნას. ეს ხდება ჩემდაუნებურად და სავარაუდოდ, არის ვირუსი. ბოდიშს გიხდით, თუ ეს წერილები შეგიქმნით გარკვეული სახის დისკომფორტს. გირჩევთ, არ გახსნათ. ვაცხადებ, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს“, - აცხადებს კაკაბაძე.**

„ალია“ დეტალებში გასარკვევად ნანა კაკაბაძეს დაუკავშირდა:

**— ქალბატონო ნანა, ვირუსი, რომლის შესახებაც თქვენ განცხადება გააკეთეთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეჭვი ვისზე გაქვთ?**

– მე გამაფრთხილებელი ტექსტი მგონია, თუმცა არ ვიცი, რომელი ხელისუფლების მიერ არის ეს გაკეთებული? ამდენი ხნის მანძილზე ან ერთმა, ან მეორემ რატომ ვერ მოიფიქრა, რა დაშინების ფორმა მოძებნოს, რაც არ უცდია? მე ხომ ყველა ნაცადი დაშინების ფორმა ვიცი და გამომივლია საქართველოს ყველა ხელისუფლებისგან? ეს ბინძური გეგმის ნაწილია, თითქოს მე ვითხოვ თანხას. მე არა მგონია, ეს შემთხვევითი იყოს.

**— ვინმემ ფული მართლა ხომ არ გადმოგირიცხათ?**

– ეს შეტყობინება ევროკავშირიდან დაწყებული, საზღვარგარეთ მცხოვრებმა ჩემმა მეგობრებმაც კი მიიღეს, იმდენი რეკვა ატყდა ჩემთან, ორჯერ დავტენე ტელეფონი. ზოგი მიხვდა, რომ ვირუსი იყო, ზოგი შეწუხდა, რა გიჭირსო და დასაზუსტებლად დარეკა. უფლებადამცველებმაც კი დამირეკეს. მე ტექნიკაში ვერ ვერკვევი, მაგრამ სპეციალისტებმა მითხრეს, რომ ყველაფერი წაიშალა ჩემს კომპიუტერებში. ყველა პროგრამა თავიდანაა ჩასაწერი. ყველაფერი გაქრა. რა იყო ასეთი უბედურება, ვერ მივხვდი.

**— რა სახის ინფორმაცია წაიშალა?**

– ფაქტობრივად, კომპიუტერში არაფერი აღარ მაქვს. საოცარია, თუ წაიშალა, რატომ ყველაფერი არ წაიშალა და შერჩევით რატომ წაიშალა? მაგალითად, წაშლილია ჩვენი რეგისტრაციის სიები, 100 000-ობით მისამართი და ტელეფონი. უბრალო ფაილები არ არის წაშლილი. ეს როგორ მოხდა?

**— ქალბატონო ნანა, თქვენ არჩევნებამდე ამბობდით, რომ ოფისთან გითვალთვალებდნენ, მერე საუბარი იყო იმაზე, რომ პოლიტპატიმრებს ფულსართმევდით. ამ თემის გაგრძელება ხომ არაა ეს ვირუსი?**

– თავს შევიკავებ ზედმეტისგან, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მხოლოდ წინა ხელისუფლება არ განიცდიდა ასეთ დამოკიდებულებას ჩემ მიმართ. თანხის მოთხოვნა, ალბათ, გეგმის ნაწილია. ვის ინტერესებშიც არ არის ის საქმიანობა, რასაც ჩემი ორგანიზაცია ეწევა, ცხადია, მოტივირებულია ასეთი რამის გასაკეთებლად. ჩემი კომპიუტერები საკმაოდ დაცული იყო ასეთი ვირუსებისგან, მაგრამ ეს სხვა რამეა. ვშლიდით ხოლმე ამ ვირუსებს, მაგრამ რაღა კლასიფიკაციებს და სიებს ეცა? მთელი ნაშრომი წაიშალა და უბრალო ფაილები დარჩა, რომელიც არც კი მჭირდება.

**— რას აპირებთ?**

– თუ აღმოჩნდა და თუ მითხრა კომპიუტერის სპეციალისტმა, რომ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს ეს ქმედება, ალბათ... თუმცა ვის მივმართო, პროკურატურა ამას გამოიძიებს? ამიტომ ხელს ჩავიქნევ, რა თქმა უნდა.

ჟანა ასანიძე 558 00 16 16



# იყო თუ არა ბადრი ბიწაძე 2007 წლის აქციის დაშლის ინიციატორი?

ივანე მერაბიშვილმა 3 თებერვალს ნინო ბურჯანაძეს სასამართლოზე მიცემული ჩვენებისთვის მადლობა გადაუხადა. როგორც მერაბიშვილმა განაცხადა, ბურჯანაძის ჩვენება დაცვის მხარეს ძალიან გამოადგება.

„ყველამ გავიგეთ, რა მიზანი ამოძრავებდა და როგორ მიმდინარეობდა მიტინგი. მისი ჩვენება კარგად გამოადგება დაცვას“, – განაცხადა მერაბიშვილმა.

ბრალდებულმა ნინო ბურჯანაძეს მიმართა და 2007 წლის ნოემბრის აქციის დაშლა შეახსენა: „ამაში უკანონო არაფერი იყო, თუმცა 2007 წლის აქციის დაშლის ინიციატორი ბადრი ბიწაძე იყო“, – აღნიშნა მერაბიშვილმა.

იყო თუ არა მართლაც ბადრი ბიწაძე ამ აქციების დაშლის ერთ-ერთი ინიციატორი?

**ამაში გასარკვევად „ალია“ იმ მოვლენების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, გოგა ხაინდრავას დაუკავშირდა:**

**— ბატონო გოგა, მერაბიშვილის წამოძახება, რომ ბადრი ბიწაძე იყო აქციის დარბევის ინიციატორი, მართალია? რა ინფორმაცია გაქვთ?**

– 2007 წლის დარბევის დამგეგმავი და შემსრულებელი იყო სააკაშვილი, ბოკერია, მერაბიშვილი, უგულავა. მაგათ ახლა „შიდარაზბორკა“ დაეწყოთ, ერთმანეთზე კუჭი აეშალათ და ამიტომ ხდება ეს ყველაფერი. სხვებზე გადაბრალება და კამერების წინ ტირილი მერაბიშვილს არ უშველის. ბიწაძესა და ბურჯანაძე თავისი ცოდვებიც ეყოფათ და მაგათი სალაპარაკო ნამდვილად არაა. ნოემბრის აქციის ცოდვები კი მერაბიშვილის კისერზე დარჩება. სხვა საქმეა, რომ ბურჯანაძე და ბიწაძე ამ ყველაფერს გულგრილად უყურებდნენ და დასაშვებად მიაჩნდათ.

**— ამ დროს ბიწაძე არაფერს არ აკეთებდა, დარბევისას არ გამოჩენილა?**

– არაფერ შუაში არ იყო მაგ შემთხვევაში, ბიწაძეს არაფერს არავინ არ ეკითხებოდა მაშინ. ის საქართველოს ხელისუფლებაში არანაირ წონიან ფიგურას არ წარმოადგენდა. სააკაშვილის დროს ის იყო ბურჯანაძის ქმარი და მორჩა! ამ დროს მისი სამსახურის სპეცრაზმი იყო გამოყენებული, მაგრამ თვითონ ბიწაძე არანაირ როლს არ თამაშობდა აქციის დარბევაში.

ბიწაძეზე არც კი ვსაუბრობდით, ბურჯანაძე „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის წევრი იყო და ჩვენ ლამის ქვეყნის მოღალატეებად შეგვრაცხა. ყველანაირად „გაატრავა“ 7 ნოემბრის დარბევა, მაგრამ მის ქმარს არაფერი დაუშავებია.

**— ბოლო დროს ვანო მერაბიშვილს პროვოკაციული განცხადებები დასჩემდა, ესეც მორიგი ტრიუკია?**

– მერაბიშვილის საქმე ისეა, წყალწაღებული რომ ხავსს ეჭიდება, თუმცა ეს „შიდარაზბორკების“ გამოძახილია. სამარცხვინოა ის, რასაც ტელევიზორში ვხედავთ. მერაბიშვილის ფრთა ბურჯანაძეს „გრუ“-ს აგენტს უწოდებს და ბურჯანაძის ფრთა მერაბიშვილს „ფსბ“-ს აგენტს. ჩვენ ამაზე წლების მანძილზე ვსაუბრობდით და არ გვისმენდნენ, ხედავს ყველა ყველაფერს.

**— რატომ არ უპასუხა ნინო ბურჯანაძემ მერაბიშვილს, როგორ გგონიათ?**

– ქალია, უხერხული იყო მისთვის ამის მოსმენა და ამიტომაც „გაატარა“, ალბათ, ეს წამოძახება. ისე, თუ რამე ჰქონდათ ერთმანეთისთვის სათქმელი, აქამდეც ბევრჯერ ჰქონდათ ამის შესაძლებლობა. ახლა სასამართლოზე წიოკი არ ღირდა. ბურჯანაძე სწორად მოიქცა. ერთია ჭორაობა და მეორე დადასტურებული ინფორმაცია. მერაბიშვილი რომ „ფსბ“-ზე მუშაობდა, ამას ჩვენ მალე დავამტკიცებთ, თუმცა ხელისუფლება ყურებს არ იბერტყავს ამ საკითხზე და წვრილმანებზე ედავება.

**— წვრილმანებია მკვლელობები?**

– მან საქართველოს ნაწილი მიართვა რუსეთს და უნდა მოეკითხოს არა წვრილმანი კორუფცია, არამედ სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ჩადენილი აქვს. მან ვისზე რა უნდა ილაპარაკოს? ბურჯანაძე რუსეთთან თავის კავშირებს არასდროს მალავდა, ამიტომ ეს მერაბიშვილის წამოსაძახებელი არ არის. ადრე თუ გვიან, ისიც იქნება გამოძიებული, მას რა ფარული კავშირები ჰქონდა.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

# ქართველი მხატვრები მზრუნველობამოკლებული მოზარდების დასახმარებლად — „ფონდი ნატახტარის“ ანგარიშზე 11 500 ლარი ჩაირიცხება

## საქველმოქმედო აუქციონი წარმატებით დასრულდა



**30 იანვარს, „გამრეკელი გალერეაში“ ცნობილი, თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების საქველმოქმედო აუქციონი გაიმართა. ღონისძიებას ჟურნალისტები და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სანახაობრივად საინტერესო საღამოზე წარმოდგენილი ყველა ფერწერული ტილო გაიყიდა და მთლიანად 11 500 ლარი შეგროვდა. შემოსული თანხა „ფონდი ნატახტარის“ ანგარიშზე ჩაირიცხება.**

შემოწირულობა მოხმარდება ფონდის პროექტს „იზრუნე მომავალზე“, რომელიც მზრუნველობამოკლებული მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას მოხმარდება. ღონისძიება, თანამედროვე ქართული მხატვრობის პოპულარიზაციასთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებული მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების აღსაზრდელების დახმარებას ისახავს მიზნად.

„ფონდი ნატახტარის“ აქციაში მონაწილე თანამედროვე ქართველ მხატვრების სია ასე გამოიყურებოდა, – ოლეგ ტიმჩენკო, გია გუგუშვილი, მიშა შენგელია, მამუკა ცეცხლაძე, ვახო ბულაძე, კოკა ცხვედიანი, უშანგი ხუმარაშვილი, ლია შველიძე.

**ნინო სურმავა,** კომპანია „ნატახტარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:

– „ფონდი ნატახტარი“ უკვე მესამე წელია, რაც საქმიანობს. ამ პროექტის ფარგლებში, არაერთი ღონისძიება განვახორციელეთ და თანხის მოზიდვა, ძირითადად, გაყიდული პროდუქციიდან ხდება, მაგრამ ამჯერად გადავწყვიტეთ, რომ ხელოვანებთან ერთად გაგვეკეთებინა ღონისძიება, სადაც მათ საშუალება ექნებოდათ, ამ კეთილ საქმეში თავიანთი წვლილი შეეტანათ. ასევე, გადავწყვიტეთ, ამ აუქციონზე მოგვეწვია ბიზნესსექტორის ის წარმომადგენლებიც, რომლებსაც კონტრიბუციის საშუალებას მივცემდით. აუქციონის მიზანი იყო, ცნობილი, თანამედროვე მხატვრების ნახატები გაყიდულიყო, შემოსული თანხა კი „ფონდი ნატახტარის“ ბენეფიციარებს მოხმარდება. საუბარია, მთელი საქართველოს მასშტაბით, მცირე ბავშვთა სახლების 200-მდე 15-დან 18 წლამდე მოზარდზე...

**ხათუნა მელიქიშვილი,** „გალერეა გემრეკელის“ დამფუძნებელი:

– ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენს გალერეაში ჩატარებული საქველმოქმედო აუქციონით. ეს ღონისძიება მზრუნველობამოკლებული ბავშვების დახმარებას ისახავს მიზნად და ჩვენი სტუმრების აქტიურობამ ძალიან კარგი შედეგი მოგვცა. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგი საქმე გაკეთდა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ორგანიზატორებსა და ბიზნესმენებს, განსაკუთრებით იმ ადამიანებს, ვინც ჩვენს გალერეაში გამოფენილი ნამუშევრები შეიძინა. ამით, ფაქტობრივად, ორმაგად კარგი საქმე გააკეთეს, – ჩვენი მხატვრების მიერ შესრულებული ფერწერული ტილოებიც დარჩებათ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსაც დაეხმარნენ.

**ირაკლი ზუბიტაშვილი,** ღონისძიების სტუმარი:

– ძალიან მაინტერესებს ქართული თანამედროვე მხატვრობა და შესაძლებლობის ფარგლებში თვალყურს ვადევნებ ყველა სიახლეს. ძალიან მომწონს გია გუგუშვილის შემოქმედება და გადავწყვიტე, აუქციონზე გამოტანილი მისი ორივე ნახატი მქონოდა... ყოველთვის მინდოდა მისი ნამუშევრები შემეძინა, თუმცა აქამდე მისი შეძენის შესაძლებლობა არ მქონია. ახლა კი ეს შანსი ხელიდან არ გავუშვი. ზოგადად, ძალიან მივესალმები და ყველა საქველმოქმედო ღონისძიებას ვგულშემატკივრობ. მივესალმები და სასურველია, სხვა კომპანიებმაც გარკვეული წვლილი შეიტანონ ქველმოქმედებაში. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო კომპანია „ნატახტარს“, რადგან ასეთი ტიპის ღონისძიებები, მის მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

**ოლეგ ტიმჩენკო,** მხატვარი:

– ამ საღამომ და „ფონდმა ნატახტარმა“ საშუალება მოგვცა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დავხმარებოდით, რაც პირადად ჩემთვის, ძალიან დიდი სტიმულია. ადრეც მქონია ამდაგვარ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი, მაგრამ ამ სახით, ნამდვილად პირველად წარვდექი საზოგადოების წინაშე და ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემთვის, როგორც მხატვრისთვის, დიდი სტიმულია, როდესაც ასეთი საქმე კეთდება... ამ დიად საქმეში, რაღაც პატარა წვლილი მეც შევიტანე...



CIAN MAGENTA YELLOW BLACK



# ეს ოქროს მაღარო არის ბლეფი, კულტურის სამინისტრო კი, არბიტრის ნაცვლად, გახდა მხარე... დროა, მინისტრმა მიიღოს გადაწყვეტილება...

**დღეს დავის საგანია, არის თუ არა საყდრისში უძველესი მაღარო და შეეძლო თუ არა იმდროინდელ ადამიანს ოქროს მოპოვება იმ სახით, როგორც ამას ქართულ-გერმანული ექსპედიცია აცხადებს და თუ მაინც მოიპოვებდა, რა კვალი უნდა დარჩენილიყო აქ ოქროს მოპოვების შედეგად? ამის შესახებ გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ადამია საუბრობს.**



– საბადოს არსებობა ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ადგილას ოქროს მოპოვება რენტაბელურია და ასეთია საყდრისი. აქ ოქრო ახლახან აღმოაჩინეს. 80-იან წლებიდან ტექნოლოგიების განვითარებამ საშუალება მოგვცა, თვალით უხილავი ძვირფასი მეტალი ქიმიური ანალიზების საშუალებით გამოვთვალოთ, რამდენად მომგებიანი, ან წამგებიანი იქნება ოქროს მოპოვება თქვენთვის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საბადო ის კი არ არის, რომ ამა თუ იმ ადგილას აპრიორი ოქროა, მომპოვებელმა ის ოქრო რომ ამოიღოს, ეს უნდა უღირდეს, თორემ თუ იმდენი სახსარი დახარჯა, რომ იმ თანხით ალმასს იყიდი, მაშინ რა ფასი აქვს იქ ოქროს მოპოვებას? ეს არავისთვის საიდუმლო არ არის და ამიტომ ხმამაღლა გეტყვით, რამდენია საყდრისში ოქროს შემცველობა: ტონაზე აქ ამოდის 1,22 გრამი ძვირფასი მეტალი. ანუ მილიონ გრამში ერთ გრამზე ცოტა მეტი ოქრო. ეს ოქრო თვალით უხილავია, ის მხოლოდ მიკროსკოპით ჩანს და, თუ ანალიზი არ გაქვთ ჩატარებული, ვერც მიხვდებით, რომ ოქროა.

**— აბა, ჩვენი წინაპარი როგორ მოიპოვებდა აქ ოქროს?**

– მერე ვინ გითხრათ, რომ ის აქ ოქროს მოიპოვებდა? ეს ყველაფერი მითი და მოგონილია. ამის მოგონება კი იმისთვის დასჭირდათ, რომ დამტკიცდეს – საყდრისი უნიკალური ძეგლია, რადგან ასეთ ძეგლს სულ სხვა სტატუსი აქვს. მაგრამ აქ დააკვირდით: თუ ეს ასეთი უნიკალურია ძეგლია, რომელიც, ვთქვათ, იუნესკომ უნდა შეიტანოს თავის ჩამონათვალში, რატომ არ მიმართავენ იუნესკოს?

**— ამაზე ცნობილია ირინა ღამბაშიძის პასუხი: დიდი პროცედურაა ამისთვის გასავლელიო.**

– მარტივად ვიტყვი: ამ შემთხვევაში იუნესკო გამოგზავნის ექსპერტებს, ყველაფერი ძალიან დეტალურად გაიჩხრიკება და გაისინჯება და მათ თუ დაინახეს, რომ მაღაროს არსებობის დამადასტურებელი არავითარი არგუმენტი არ არის, გვეტყვიან, რომ ჩვენ ტყუილს ვლაპარაკობთ. რასაც ვუყურებთ, ამისკენ ისწრაფვიან ჩვენი არქეოლოგები და რაში სჭირდებათ ეს, ვერ გავიგე. ხომ გახსოვთ, სახელის გატეხას, თავის გატეხა სჯობიაო, ეგრეა ამათი საქმე. ვერ ვამტკიცებთ, რომ ეს ძეგლი ნამდვილად 5000 წლისაა და, რომ აქ ოქროს ეგვიპტეზე ადრე მოვიპოვებდით. რასაც არქეოლოგები ამბობენ, კი, ბატონო, ამას უბრალო ადამიანები იჯერებენ, მაგრამ ექსპერტები – არა. ექსპერტებს სჭირდებათ ფაქტი, ხოლო ფაქტი ამათ არ აქვთ. ფაქტი არის ის, რომ საყდრისში უნდა არსებობდეს იქ მოპოვებული ოქრო და არ ფიქსირდება ოქროს ნაკეთობა ჩვენთან. ამის გარდა, არქეოლოგები ამბობენ, აქ ფიქსირდება უძველესი ცივილიზაციაო და ამის კვალი კი არსებობს? ეგვიპტის ცივილიზაციამ რა დატოვა ვიცით და ჩვენთან რა დატოვა? არც ამის კვალია. როგორც გითხარით, საყდრისში არსებული ოქრო თვალით არა ჩანს და დავუშვათ, რომ ჩვენს წინაპარს ინტუიციამ უკარნახა, რომ აქ ოქროა, ეს ოქრო საყდრისში არის კაჟში, ეს კაჟი კი ფქვილად უნდა აქციოთ: ერთი ტონა მასა უნდა დანაყოთ, რომ რამდენიმე გრამი ოქრო მიიღოთ.

**— მერე მაგ საქმეს მარტო დანაყვა შველის?**

– რა თქმა უნდა, არა. ოქროს ვერ ამოკრეფთ კაჟიდან, ამიტომ მთელი ეს მასა ხსნარად უნდა აქციოთ. ანუ, მასა უნდა დადნეს, ამისთვის კი უნდა ჰქონოდათ უზარმაზარი ქურა, მერე მთელი ტყე უნდა გაეჩეხათ, რომ ცეცხლი შეენთოთ და მთელი ეს ტონობით ქვა უნდა დაედნოთ, მაგრამ ამავე დროს ამ ხსნარისთვის უნდა შეერიათ ტყვია და გერმანელები ამბობენ, რომ ბორის შენაერთსაც უმატებენ ამ ხსნარს ჩვენი წინაპრებიო, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ ბორი საქართველოში არ მოიპოვება. მერე ეს მთელი ხსნარი რაღაც ჭურჭელში უნდა ჩაესხათ, რომელსაც შეწოვის უნარი აქვს, რომელიც შეიწოვდა ამ ოქროს და დანარჩენს მოიშორებდა.

**— და ეს ტექნოლოგია მთლიანად რაც ახლა მომიყევით, 5000 წლის წინათ იცოდნენ?**

– მეც ვერ გამიგია, საიდან იცოდნენ ეს მათ. 1 კილოგრამი ოქრო რომ მიეღოთ ჩვენს წინაპრებს, ასეულობით ტონა კაჟის ქვა უნდა დაედნოთ, კი მაგრამ, ეს ამდენი ფუჭი ქანი რომ დაინაყა და გამოთავისუფლდა, აქ მთელი მთები ხომ უნდა იყოს დარჩენილი ამ ქანების? ეგ სადღა წავიდა? არც ეს არსად არ არის. კაი ბატონო, ეს ოქრო წაიღეს მესოპოტამიაშიო, მაგრამ ის ფუჭი ქანი ვინ სად წაიღო?.. ამდენი ხე რომ დაეწვათ, იქაური ნიადაგები ნახშირით უნდა იყოს გაჯერებული. არც ეს არ არის.

**— ამაზე ექსპედიციას რა პასუხი აქვს?**

– მე მთელ მათ მასალას ვეცნობი ამ საკითხთან დაკავშირებით და არაფერსაც არ ამბობენ და რანაირად უნდა დავუჭირო მათ სიტყვას მხარი? რაში სჭირდებათ მათ მთელი ეს ბლეფი? იმიტომ, რომ მთელი ეს სამუშაოები ჩატარებული აქვთ გრანტებით და თანაც დიდი გრანტებით და, ეს გრანტები რომ მოიპოვოთ, საკმაოდ გაბედული პროექტები უნდა შეადგინოთ და დაპირებები უნდა გასცეთ, – მე ამას და ამას აღმოვაჩენ! მათი დიდი დაინტერესებაა, რომ ჩატარებულ სამუშაოს მიეცეს ძეგლის უმაღლესი კატეგორია და ეს უნდა იყოს უძრავი ძეგლის კატეგორია. თუ ეს მართლა ასეა, ამ შემთხვევაში ძეგლს აქვს თავისი სანიტარიული ზონა და გარკვეული რადიუსით მასთან ახლოს არავინ მიგიშვებს. გამოდის, რომ ეს საბადო ოქროს მომპოვებლებისთვის დაკარგულია. საინტერესოა, რომ ეს ექსპედიცია მაღაროს უწოდებს იმ ვიწრო ხვრელებს, რომლის დიამეტრიც ხშირად 30 სმ-ია, რომელშიც კაცი ვერ ეტევა, არათუ კაჟის დამუშავება და იარაღით შიგ ჩასვლა. დიდი გაბარიტების კაცი არ ვარ, მაგრამ რომ მოვკვდე, შიგნით ვერ ჩავალ. ვთქვათ, ჩავეტიე და 20 მეტრ სიღრმეზე ჩავძვერი, როგორ უნდა ვიმუშავო, ამიხსენით? გერმანელები იმასაც კი ამბობენ, რომ ბავშვებს ამუშავებდნენო, დავიჯეროთ?



საყდრისი. ქვედა ჰორიზონტი. თანამედროვე №47-ე შტოლნაში აღმოჩენილ მაღარო და ოქროს მადნის ძარღვი (ფოტო. ტ. შტელნერი)

**— გასაგებია, რომ მათ ბლეფი წამოიწყეს, რომ იქ ოქროს მაღაროა, მაგრამ 21-ე საუკუნეში ამ ბლეფის დამტკიცება მსოფლიოსთვის არ გაუჭირდებათ?**

– მინდა გითხრათ, რომ ეს ამბავი საქართველოშიც ვერ გააქვთ და საზღვარგარეთ როგორ გაიტანენ? გარდა იმისა, რომ შიგადაშიგ ხუნვეიბინებივით ვილაცებს მოიყვანენ, რომლებიც მეცნიერებსა და ოპონენტებს უსტვენენ, მაგრამ ეს სიმართლის დასამტკიცებლად არ კმარა, რომ ეს მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებამ დაგიჯეროს. ახლა არ გაინტერესებთ, როგორ დაათარიღეს თავად მაღარო? არქეოლოგებმა საყდრისი დაათარიღეს იმ ნივთების მიხედვით, რაც იქ არის ჩაყრილი, მაგრამ ნაყარი მასალით არ ხდება ძეგლის ასაკის დადგენა, ეს ყველამ ვიცით, ვინც ვმუშაობთ, რადგან გეოლოგია არის ისტორიული მეცნიერება. საყდრისი ბუნებრივი ნაპრალია და ჩვენ ვერ ვიტყვით ზუსტად, როდის გაჩნდა ეს ნაპრალი, ამისთვის უნდა მოვიძიოთ მემატიანეებში ცნობა, 5000 წლის წინათ იქ რა ხდებოდა. ექსპედიცია ამბობს, რომ საყდრისში იმდენი ოქრო იყო, რომ ჩვენი წინაპარი ამას თვალით ხედავდაო. ტერიტორიას ამდენი წელიწადია ვსწავლობ, მაგრამ მსგავსი ტიპის ოქრო არ მოიპოვება, თან ამტკიცებენ, იმ პერიოდში ერთ ტონაზე 500 გრამი ოქრო მოდიოდა, რაც იყო, ყველაფერი ამოიღეს ჩვენმა წინაპრებმა და მთლიანად მესოპოტამიაში წაიღესო. ეს ხომ აბსურდია.

**— გერმანულ მხარეს არ ეშინოდა, რომ ეს სიცრუე ოდესმე გასკდებოდა?**

– მეც ძალიან მიკვირს! ჩვენ ევროპელებს ყოველთვის აღმატებულად ვუყურებდით, მაგრამ, ეტყობა, გერმანელებშიც არის უწესო ხალხი და სხვა ეთნოსშიც. გერმანელებს პირში ეუბნებიან ჩვენი გეოლოგები, რომ ეს არის ბლეფი. წეღანაც ვთქვი, რომ ეს ადგილები ჩემთვის ძალიან ნაცნობია. ამ ხნის კაცი ვარ და ასპირანტი ვიყავი, აქ რომ მოვედი სამუშაოდ. შემოდგომის პერიოდშიც არაერთხელ მიმუშავია. ბოლნისის რაიონი კარგად არის შესწავლილი ჩემი და ჩემი კოლეგების მიერ, ჩვენი კარტირებულია, ყველა ქვა ვიცი, სად რა არის, მაგრამ 500 გრამი ოქრო ტონაზე, ასეთი რამე არც მე გამიგია და არც ჩემს კოლეგებს.

**— მეცნიერები ამბობთ, საყდრისში მცირე რაოდენობითაა ოქროო და, როგორც ადამიანს, მაინტერესებს: როდესაც ოქროს მომპოვებელი კომპანია შევა ამ ადგილზე, ოქროს ისიც ასე მცირე რაოდენობით მოიპოვებს?**

– რასაკვირველია და უკეთ აგიხსნით: ზოგადად ასეა, თუ ერთ ტონაზე მოდის 1 გრ ოქრო მაინც, დღევანდელი ტექნოლოგია გვეუბნება, რომ ეს მომგებიანი საბადოა და შეიძლება ოქროს წარმოების დაწყება და თუ ტონაში 3 და 4 გრამია, ეს უკვე ძალიან კარგი საბადოა, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ აქ უზარმაზარი მასა უნდა დაამუშაოთ ოქროს მოპოვებისთვის.

**— დაბოლოს, როგორ შეაფასებდით ღამბაშიძისა და შტოლნერის ქმედებას?**

– არ მინდა, მათ რამე ვაკადრო და მოდით, რბილად ვიტყვი, – მათი აღმოჩენა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ვერც ერთი მათი არგუმენტი. სიამოვნებით დავჯდები მაგიდასთან მათთან ერთად, წარმოადგინონ თავიანთი არგუმენტები და ახლავე გეტყვით, ვერც ერთ არგუმენტს, რომ იქ უძველეს ხანაში ოქროს მაღარო იყო, ვერ დაამტკიცებენ. მათ ეს ამბავი საქართველოში არ გაუვიდათ. თვითონ ამ ძეგლთან დაკავშირებით საინტერესო რაღაცები ხდებოდა: გაყალბებულია ძეგლის ისტორია, საყდრისი არ იმყოფებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში. ეს შეპარებული იქნა ნუსხაში და ეს ცნობილია. კომისიამ, რომელიც კულტურის სამინისტრომ სპეციალურად ამ საქმისთვის დანიშნა, ვერც ერთი დოკუმენტი ვერ აღმოაჩინა, რაც დაადასტურებს საყდრისის, როგორც ძეგლის, სტატუსს. 840 ათასი ევროა დახარჯული ამ პროექტზე და, როდესაც გერმანული მხარისთვის გახდება ცნობილი მთელი ეს ამბავი, ალბათ, გერმანია აუცილებლად მოიძიებს საქმეს და მერე რა იქნება, ეს თავად ამ ჯგუფმა იკითხოს. ჩემი აზრით კი, მთელი ეს ზღაპარი არის ფალსიფიკაცია, გრძნობებზე თამაში მიდის, რის უკანაც დგას ფული, ფული კი დიდი დაიხარჯა. დიდი ხანია, მიდის დავა და ეს დავა შეიძლება წლობით გაგრძელდეს, მაგრამ იქ ათასობით ადამიანი შრომობს და სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი. ამიტომ კომპანიამ მიმართა კულტურის სამინისტროს, როგორც არბიტრს, და ამის ნაცვლად სამინისტრო გახდა მხარე. დღეს მინისტრი სადღეგრძელოებით ლაპარაკობს, არც მწვადს წვავს და არც შამფურს, ამ დროს მან უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი, ამისთვის მოიწვია კომისია და ახლა აღარ უჯერებს ამ კომისიას. მოკლედ, აქ გადაწყვეტილებაა მისაღები, მეტი არაფერი.

ჩვენი საზოგადოებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება იმ რეკლამური ფილმის გაცნობა გერმანელმა „მაღაროს აღმომჩენებმა" რომ გადაიღეს. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ აღმოაჩინეს კოლხური ოქროს წყარო. როგორც ჩანს, ისიც კი არ იციან, რომ ქვემო ქართლი – აღმოსავლეთი საქართველო კოლხეთი არ არის, არც ის იციან, რომ კოლხური ოქროს წყარო კოლხეთის ქვიშრობული ოქროა (მაგ. მდინარე ენგურის მდინარეული ნალექი). საყურადღებოა ისიც, რომ გერმანელთა ამ ჯგუფის მიხედვით, ყაჩაღიანის ამ უბანზე რუსი გეოლოგები მუშაობდნენო, გამოდის, რომ თ. მუჯირი, მ. აზარაშვილი, მ. ჭოხონელიძე, მ. ნაცვლიშვილი, გ. კორინთელი, ბ. ვაშაკიძე, კ. ბუაძე და მრავალი სხვა ქართველი გეოლოგი, რომლებიც წლების განმავლობაში აქ მუშაობდნენ, თურმე რუსები ყოფილან. ყოჩაღ, კოლეგა არქეოლოგებო!

## აქციაზე პოლიციელის დაღუპვა დაგეგმილი იყოო

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ის ყველაფერს გააკეთებს, რათა 26 მაისის აქციაზე ადამიანების გარდაცვალების რეალური მიზეზები დაადგინოს. ბურჯანაძის თქმით, სპეცრაზმს მისი ლიკვიდაცია ჰქონდა დავალებული.

„დაგეგმილი იყო რომ მსხვერპლი ყოფილიყო და დაღუპულიყო პოლიციელი. ვუსამძიმრებ ყველა დაღუპულის ოჯახს და ყველაფერს გავაკეთებ, რომ სიმართლე დადგინდეს“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, აქციაზე, ნამდვილი ტყვიები ესროლეს მანქანას, სადაც მისი შვილი იჯდა, რაზეც რეაგირება ითხოვა. თუმცა, ამაზე წინა ხელისუფლების პირობებში პროკურატურას რეაგირება არ მოუხდენია. (ინტერპრესნიუსი)

## იტალიური კომპანია იუსტიციის სახლზე პასუხისმგებლობას ვერ იღებს

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, იტალიური კომპანია ცალსახად ამბობს, რომ თბილისის იუსტიციის სახლთან დაკავშირებით ის ვერ იღებს პასუხისმგებლობას ადამიანების უსაფრთხოებაზე.

„იტალიური კომპანიისგან რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ დასკვნა, რომელიც ცალსახად ამბობს, რომ ისინი ვერ აგებენ პასუხს ადამიანის უსაფრთხოებაზე და აქედან გამომდინარე ვერც იმაზე იღებენ პასუხისმგებლობას, რომ, თუკი თბილისის იუსტიციის სახლის დარბაზში თანამშრომლები და მოქალაქეები შეშვებული იქნებიან, იქ რაიმე სავალალო შედეგს არ ექნება ადგილი“, – განაცხადა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, „იქ მიმდინარეობს სამუშაოები სწრაფი ტემპით, თუ ყინვამ არ შეგვიშალა ხელი, ვგეგმავთ, რომ დარბაზი გაზაფხულზე გაიხსნას. ამასობაში ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურება თბილისში ორ სხვადასხვა ცენტრში გრძელდება“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა და იქვე განმარტა, რომ სხვა რაიონებში იუსტიციის სახლები უპრობლემოდ აგრძელებენ მუშაობას. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ჯარში ვინც წავა, სწავლის ფულს გადაუხდიან?



„ნაცმოძრაობა“ პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივას სთავაზობს. მათი განმარტებით, დღევანდელი მდგომარეობით, დაახლოებით 28000 სტუდენტს სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს, როცა 2012 წლის პირველი ოქტომბრისთვის, მათივე თქმით, ეს ციფრი 12000-ს არ აჭარბებდა. „უმაღლესი განათლების სფეროში არ არსებობს სწავლის საფასურის გადახდის სხვა ალტერნატიული მექანიზმი. სტუდენტს უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე უფლება აქვს, სწავლის საფასურის სანაცვლოდ, სამხედრო სამსახურის გავლა მოითხოვოს“. – განაცხადა კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა სერგო რატიანმა.

რატომ გაუჩნდათ „ნაციონალებს“ ეს ინიციატივა ახლა და არა ხელისუფლებაში ყოფნის დროს?

**„ალია“ კომენტარისათვის ავტორს სერგო რატიანს დაუკავშირდა:**

– ეს ჩვენი ახალი კანონპროექტი მარტო იმ სტუდენტებზე კი არ არის გათვლილი, ვისაც დავალიანება აქვს, და, ვისაც თანხა აქვს გადასახდელი, არამედ იმ სტუდენტებსაც შეეხება, ვისაც ერთი წლით უნდათ სწავლის შეჩერება, რადგანაც უჭირთ გადახდა, იტყვიან წავალ, ჩემს სამშობლოს ვემსახურები და სახელმწიფო თანხას გადამიხდისო. თუმცა ამ 28000 სტუდენტიდან ჯერ ისიც გასარკვევია, ვის უნდა წასვლა, ვის არ უნდა. აქ ისაა მთავარი, რომ სტუდენტი წავა სამხედრო სამსახურში და ამის ნაცვლად სახელმწიფო მას გადაუხდის 4 წლის ფულს. ან იმ წლების თანხას, რამდენიც იქნება საჭირო.

**— ანუ გარკვეული „გაცვლა“ ხდება სახელმწიფოსა და სტუდენტს შორის?**

– რა თქმა უნდა და ჩვენი აზრით, ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ახალგაზრდის ჩამოყალიბებისთვის. გარდა ამისა, მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ უფლებებსა და მოვალეობებს შორის უნდა იყოს გარკვეული ჰარმონია. ამავე დროს ეს სახელმწიფოსთვისაც მნიშვნელოვანია, რადგანაც მას ეძლევა საშუალება, რომ ქვეყნისათვის გაწეული სამსახური ახალგაზრდებს არ დაეკარგოთ და დაუფასდეთ.

**— რატომ გაგიჩნდათ „ნაციონალებს“ ეს ინიციატივა დღეს, როცა ბიუჯეტში ასეთი გარღვევაა?**

– არა, მე... ეს არ არის ახლა გამოგონებული. თქვენ თუ გაიხსენებთ 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე ეს იყო მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა და ჩვენ რომ მოვსულიყავით ხელისუფლებაში, მერეც ამას დავამტკიცებდით.

**— კი, მაგრამ თქვენ მანამდე 9 წელი იყავით ხელისუფლებაში (მაწყვეტინებს)...**

– ერთი წუთით, ერთი წუთით... მე ეს აზრი გამიჩნდა იმიტომ, რომ ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ მოახერხა და 12000 სტუდენტიდან 28000 სტუდენტამდე გაზარდა ეს ციფრი. მათ ყველას შეჩერებული აქვთ სტატუსი. იძახდნენ, რომ ეს არის ძალიან დიდი ციფრი და ეს იყო მხოლოდ 10%, დღეს ეს რიცხვი არის 30%. რაც შეეხება ბიუჯეტში პრობლემებს, ეს თანხები ბიუჯეტს არ დააწვება.

**— რას ამბობთ და სად არის საამისო ფული?**

– გეტყვით. მე არ ვუსაზღვრავ, რამდენად ულირთ, რამდენ სტუდენტს გადაუხდიან და რა კრიტერიუმებს დაუწესებენ ამ სტუდენტებს, მე უბრალოდ ვამბობ, რომ დღეს პირველი ნაბიჯებით უნდა დაიწყოს ამის გადათვლა და ეს არის პრობლემის მოგვარების მთავარი საფუძველი. მე არ ვუსაზღვრავ პარლამენტს, რომ ბიუჯეტში შევიდეს ცვლილება და ეს 28000-ვე სტუდენტი დაასაქმონ და ამხელა თანხა გადაიხადონ. პარლამენტს შეუძლია, თავად შეარჩიოს კრიტერიუმები და თავად გამოყოს ამისთვის საჭირო თანხა.

**— და სად არის საამისო თანხა იგივე ჩვენს ბიუჯეტში?**

– და ვინ გითხრათ, რომ არ არის?

**— აბა, „ნაციონალები“ არ ამბობდით ამდენი ხანი, ბიუჯეტში 600-მილიონიანი გარღვევააო?**

– გეტყვით: ბიუჯეტში ეს თანხები არის, თუ ჩავიხედავთ გრანტების შესახებ კანონში, იქ არის ლაპარაკი იმაზე, რომ სტუდენტების დახმარებაც არის და სოციალური დახმარებებიც და გრანტებით დახმარებებიც. იქ უნდა ჩაჯდეს ახალი ოფცია, ანუ ნიშა და უკვე ამ მხრივ დააფინანსონ, გესმით? იმ სოციალურ დახმარებებში ეს იყოს განმსაზღვრელი. მე არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც ახალი თანხები იქნას მოძიებული, რა თანხებიც არის, ჯერჯერობით, ის თანხები გამოვიყენოთ ამ მიმართულებითაც. გამოდის, პირიქით მოხდება დახმარება, თუ ხელისუფლება ამ კანონს გამოიყენებს რაციონალურად, ფინანსურადაც დაეხმარება როგორც სამხედრო საქმეს, აგრეთვე, ახალგაზრდების საქმესაც. ვიმეორებ, რომ ეს კანონი 28000 სტუდენტზე არ არის გათვლილი. ჩვენ უბრალოდ პრობლემა ვაჩვენეთ, რომ ამხელა ჯგუფია, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება.

**— კი, მაგრამ თუ იმ სოციალურ დახმარების ფულს დახარჯავთ, ის ხომ დააკლდება ამ სფეროს? ანდა, წეღან არ დამასრულებინეთ და ახლა უნდა გაგიმეოროთ კითხვა: როცა თქვენს პარტიას ჰქონდა სრული „კარტ ბლანში“, რომ თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს დახმარებოდით ამ სტუდენტებს, მაშინ რამ შეგიშალათ ხელი? მაშინ რატომ არ იფიქრეთ, რომ დახმარებოდით ამ 12000 სტუდენტს?**

– (პაუზა) ჩვენს დროს (ბორძიკობს) ძალიან სერიოზულად გაიზარდა განათლების ბიუჯეტი, ჩვენ დავიწყეთ დაფინანსება სტუდენტების, სოციალური დაფინანსებაც მაშინ გაჩნდა, არჩევნების წინ ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი ინიციატივა და ეს დაფინანსება უნდა გაზრდილიყო, ამიტომ დღეს ლაპარაკი... და კიდევ ის თანხა, გარღვევა, რომელიც დღეს თქვენ ახსენეთ, მაშინ არ იყო.

**— მაგას ვგულისხმობ, თუ ასე კარგად იყო ყველაფერი, მაშინ დახმარებოდით...**

– კი, შეიძლება ვთქვა ახლა, რომ მაშინ კიდევ უფრო მეტი იყო გასაკეთებელი, მაგრამ დღეს ამ ფონზე მაგას, უკაცრავად, ვერ ვამბობ.

**ამის შემდეგ „ალია“ კომენტარისათვის პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს ვანო კიღურაძეს უკავშირდება:**

– ეგ ამბავი მე არ ვიცი და წინასწარ ვერაფერს გეტყვით, უნდა წავიკითხო მაგათი პროექტი. არ გავცნობივარ მაგას, მაგათ ეს ყველაფერი ხომ რეკლამისთვის სჭირდებათ. არ ვიცი, შეიძლება, რაღაც სასწაული მოხდა და წესიერება თქვეს, არ ვიცი, რაც არ მინახავს და წამიკითხავს, რა გითხრათ?

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სომხეთში ქართველი ბიზნესმენი გარდაცვლილი იპოვეს

სომხეთის სამთო-სათხილამურო კურორტ ცახკაძორში „არმენტელის“ კომერციული დირექტორი, 35 წლის არჩილ მაღრაძე გარდაცვლილი იპოვეს. „არმენტელი“ „ბილაინის“ ბრენდით მოქმედი რუსული კორპორაცია „ვიმპელკომის“ შვილობილი კომპანიაა.

როგორც სომხეთის პოლიციის პრესსამსახურში განაცხადეს, მაღრაძის ცხედარი დასასვენებელ ზონაში იპოვეს, სადაც წინასწარი ვერსიით, ის სნოუბორდით სრიალს აპირებდა. შეტყობინება იმის შესახებ, რომ მაღრაძე ზარს არ პასუხობდა, პოლიციაში წინა დღით შევიდა, ორშაბათს კი ის გარდაცვლილი იპოვეს.

გარდაცვალების მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. პოლიციას არ დაუზუსტებია, ეს უბედური შემთხვევა იყო თუ მკვლელობა, მიმდინარეობს გამოძიება. ცნობილია ისიც, რომ მოშორებით მაღრაძის კუთვნილი „ჰიუნდაის“ მარკის ავტომობილიც აღმოაჩინეს.

მაღრაძე „არმენტელის“ კომერციული დირექტორის პოსტს 2013 წლის ივლისიდან იკავებდა. მას ცოლი და 4 შვილი დარჩა. (ინტერპრესნიუსი)

## სტუდენტთა მობილობის პროცესი დაიწყო



2013-2014 წლის გაზაფხულის სემესტრის სტუდენტთა მობილობის პროცესი, რომელიც სტუდენტის ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლას არეგულირებს, დაიწყო. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, ელენე ჯიბლაძის თქმით, გაიხსნა 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის მსურველი სტუდენტებისთვის ელექტრონული პორტალი www.students.eqe.ge, მისივე ინფორმაციით, სტუდენტებს არჩევანის გაკეთება 13 თებერვლის 18:30 საათამდე შეეძლებათ.

„სტუდენტებს შეუძლიათ, აირჩიონ ხუთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც სურთ გადასვლა, ანუ მობილობის განხორციელება. მობილობის კონკურსი ხორციელდება სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაგროვებული საკონკურსო ქულების მიხედვით“, – აღნიშნა ჯიბლაძემ.

მისივე ინფორმაციით, მობილობის შედეგები 14 თებერვალს ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება და პროცესში ჩართული სტუდენტები რეგისტრაციის დაწყებიდან შედეგების გამოქვეყნების დღის ჩათვლით „ესემეს“ შეტყობინებებს მიიღებენ.

ელენე ჯიბლაძის ინფორმაციით, დღეისთვის 67 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, 47-მა 6982 ვაკანტური ადგილი გამოაცხადა.

ცენტრის ცნობით, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლიდან მობილობის პროცესში არ მონაწილეობენ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სტუდენტს მობილობის უფლება ენიჭება სწავლების ერთი წლის შემდეგ, ორი სემესტრის განმავლობაში აქტიური სტატუსის შემთხვევაში. მობილობას უკონკურსოდ ახორციელებენ დოქტორანტები მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით და ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე კანონიერად ჩარიცხული სტუდენტები. კრედიტების თავსებადობის აღიარება და დადგენა მიმღები დაწესებულების კომპეტენციაა.

მობილობის საფასური 40 ლარს შეადგენს, სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენელი სტუდენტები კი აღნიშნული გადასახადისგან თავისუფლდებიან. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





ბესიკ ალადაშვილი

# როგორ ხსნიან ყალბი პლასტიკური ბარათებით თანხებს

## და რა დონეზეა ჩვენი ანგარიშები დაცული?

**შსს-ს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, საქართველოს ორი მოქალაქე ყალბი პლასტიკური ბარათების გამოყენებით და ხაკერების დახმარებით უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ანგარიშებიდან თანხის დაუფლების ბრალდებით დააკავეს, ხოლო უკრაინის რესპუბლიკის ექვსი მოქალაქე ამავე დანაშაულში ამხილეს. დამნაშავეთა ჯგუფმა დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების პირადი ინფორმაცია და კუთვნილი საბანკო ანგარიშებიდან თანხა უკანონოდ მიითვისეს.**

**დაცულია თუ არა საქართველოს მოქალაქეთა ანგარიშები ქართულ ბანკებში?**

**„ალიას“ ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე ბესიკ ალადაშვილი:**

– ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოს არ აწუხებს. ყველა განვითარებულ ქვეყანაში დგას ეს პრობლემები. ჰაკერული თავდასხმა და გატეხა პირადი მონაცემების, ეს იქნება სადაზღვევო სისტემა, კომერციული ბაკი, დაზვერვის სამსახური თუ ნებისმიერი კომერციული სტრუქტურა, დღეს, სამწუხაროდ, ნებისმიერი პირისთვისაა შესაძლებელი, რომელიც კარგად ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს. არ არსებობს დაცულობის 100%-იანი გარანტია. დღეს ჰაკერებს აქვთ ყველანაირი საშუალება, რომ გახსნან ნებისმიერი საიტი, მიიღონ ინფორმაცია და განახორციელონ თაღლითური მაქინაციაც. სულ რამდენიმე დღის წინ შეერთებულ შტატებში მოხდა ანალოგიური შემთხვევა, რუსეთის მოქალაქეს, წარმოშობით პეტერბურგელ 24 წლის ახალგაზრდას ბრალი წაუყენეს რამდენიმე ათეული მილიონი ამერიკელის პირადი ინფორმაციის დაუფლებაზე. ხვდებით, რა ჰაკერთან აქვთ საქმე? კონკრეტულად თუ რა ფორმით ხდება თანხის ან სხვისი პირადი ინფორმაციის მოპოვება, რთული სათქმელია. ამის სხვადასხვა გზა არსებობს. ერთ-ერთია პროგრამული ლაფსუსები, რომელსაც ჰაკერები ე.წ. ხვრელს ეძახიან. სწორედ ამ პროგრამულ ხარვეზს იყენებენ სისტემაში შესაღწევად. რიგითი მომხმარებლისთვის ამის ახსნა რთულია. თავდაპირველად ხდება წვდომა ინფორმაციაზე, შემდეგ ანგარიშების შემოწმება, შემდეგ კი ეძებენ გზებს უკვე სხვა პროგრამის გასატეხად, რომ თანხა გადაქაჩონ. ვრცელი პროცედურაა და ეს მარტივი გასაგებია მათთვის, ვინც კომპიუტერულ პროგრამებს კარგად ფლობს. თუმცა დადგენა იმისა, თუ ვის მიერ მოხდა პირადი ინფორმაციის ან კონკრეტული თანხის მოპარვა, შესაძლებელია.

**— არსებობს რაიმე სახის პროგრამა, რომელსაც შეიძენენ ორგანიზაციები, რათა უფრო დაცული იყოს ადამიანების პირადი ინფორმაცია ან საბანკო ანგარიშები?**

– მაშინ მსოფლიოს ათეულობით მსხვილი ორგანიზაციისა და ფირმების საჭიროება აღარ იქნებოდა, მათი ვინც ანტივირუსებს ქმნიან. იმიტომაც არის, რომ მსგავსი დანაშაულის დროს ყველაზე ხშირად ეჭვი სწორედ ვირუსების შემქმნელებისკენ მიდის ხოლმე. ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ თუნდაც გარკვეული პერიოდით შეუძლებელია შექმნა სრულიად დაცული სისტემა. როდესაც იქმნება ახალი პროგრამა, რომელსაც შეუძლია პირადი ინფორმაციის დაცვა, მაშინვე იქნება ვირუსიც, ეს პროცესი პარალელურად მიდის და ამიტომ თითქმის შეუძლებელია რაც არ უნდა მაგარი ორგანიზაცია იყოს, რომ ასი პროცენტით დაცული სისტემა ჰქონდეს. ეს კომერციულ ბანკებს არ ეხებათ მხოლოდ. ჩვენ კონკრეტულ დანაშაულზე ვსაუბრობთ ახლა, თორემ რეალურად ეს არის ძალიან საშიში პროცესი, რადგან ამ დროს საქმე ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება.

**— კომერციული ბანკიდან სხვის ანგარიშებზე წვდომა და თანხის მოპარვა ერთ ჰაკერს შეუძლია, თუ ამას ორგანიზებული ჯგუფი სჭირდება, რომლებიც ფუნქციებს ინაწილებენ?**

– როგორც წესი, ეს არის ორგანიზებული დანაშაული. პირადი ინფორმაცია შეიძლება ერთმა ჰაკერმაც მოიპოვოს, თუმცა, როცა საქმე ყალბი პლასტიკური ბარათების დამზადებასა და ანგარიშებიდან თანხის მოხსნას ეხება, ამას კონკრეტული ადამიანთა ჯგუფი სჭირდება.

**— შესაძლებელია, რომ დანაშაულის ჩადენის პროცესში გამჟღავნდეს ეს ფაქტი, თუ პოსტფაქტუმ იგებს ანგარიშის პატრონი და ბანკი ამის შესახებ?**

– სამწუხაროდ, ფაქტი მჟღავნდება დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ანუ მაშინ, როდესაც რომელიმე კლიენტის ანგარიშიდან თანხა უკვე გამქრალია. სხვა დანარჩენ შემთხვევაში წვდომა სხვის პირად ინფორმაციაზე არავის აქვს.

**— რაც შეეხება ეროვნულ უსაფრთხოებას, რამდენად დაცულია ქართული საჯარო სამსახურების საიტები? ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტის საიტი ორჯერ გატეხეს.**

– ეს პრობლემა არსებობს დღეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ისეთ ზესაიდუმლო სტრუქტურებში, როგორიც არის შსს ცენტრალური დაზვერვის სააგენტო, იგივე პენტაგონი. არც ისინი არიან დაცულნი ამგვარი შეღწევებით. საკმაოდ დიდი დაინტერესებაა სხვა ქვეყნების. აქ ერთ და ორ მოყვარულ ჰაკერზე არ არის საუბარი, აქ არის ოპონენტებზე საუბარი, რომელიც რამდენიმე ჯგუფს ამუშავებენ ამაზე. ეს ჯგუფები სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებშია შექმნილი და ქვედანაყოფებს წარმოადგენენ. დღეს მიჩნეულია, რომ კიბერშეტევების ლიდერები არიან ჩინეთი, რუსეთი და შეერთებული შტატები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ევროპის ან აზიის ქვეყნები არ ცდილობენ, ჰქონდეთ არა მხოლოდ კიბერთავდაცვის სისტემა, არამედ კიბერშეტევის სცენარებიც. ახლა მთელ მსოფლიოში ელექტრონული მმართველობაა არა მხოლოდ ეკონომიკური და სამრეწველო პროცესების, არამედ პარლამენტის, თუ მთავრობის სხვა სტრუქტურების საიტები. ზოგიერთი ქვეყანა ისე წავიდა წინ, რომ მთელი კანცელარია ელექტრონულ სისტემაზეა გადასული. რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა იყოს, ინფორმაციის შენახვის ეს მოდელი აიოლებს სახელმწიფო საიდუმლოების გადინების შანსს. ასე რომ, დღეს ეს პრობლემები მხოლოდ საქართველოში არ არის, გამონაკლისი არც პარლამენტის საიტი იქნება და არც თავდაცვის სამინისტროს ელექტრონული ბაზა.

**— კიბერშეტევას ებრძვის ყველა სახელმწიფო, თუმცა აქვთ ელექტრონული მისამართების დაცვის განსაკუთრებული მექანიზმი, საქართველოში ამ მხრივ რა მდგომარეობაა?**

– სამწუხაროდ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც დაიცავს ამ საიტებს. „ნაციონალების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო შექმნილი კიბერუსაფრთხოების სტრუქტურა, ახლა არ ვიცი, არსებობს თუ არა ეს სტრუქტურა ისევ. თუმცა დღეს გამორიცხულია რომ რაიმე ფორმით გარანტირებულად, ასი პროცენტით დაიცვა რომელიმე ინტერნეტმისამართი.

**— „ნაცმოძრაობის“ არაერთ წარმომადგენელზე არსებობს მასალები, ძირითადად ელექტრონული სახით, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს გამოძიება. შესაძლებელია, რომ მათ ჰაკერთა ჯგუფის დახმარებით მოახერხონ თუნდაც პროკურატურის ელექტრონულ სისტემაში შეღწევა და ინფორმაციის წაშლა?**

– როგორ არ შეიძლება. ამისთვის ჰაკერიც კი არ არის საჭირო, შეიძლება თქვენს ფოსტაში ან სოციალურ ქსელში ვირუსი შემოვიდეს და ამით გახდეს შესაძლებელი თქვენს ინფორმაციაზე წვდომა. არსობებს პროგრამები, რომელსაც არა მხოლოდ თქვენს კომპიუტერში არსებული ინფორმაციის წაშლა შეუძლია, არამედ ჯერ მასალების გადამისამართებას ახდენს სხვა მისამართზე და შემდეგ თქვენს კომპიუტერში წაშლის.

**შორენა გოგოლაძე**

599 27 75 27

## პატრიარქის ფონდი საგრანტო მიმართულებებს განიხილავს



პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი აგრარული მეცნიერების საგრანტო მიმართულებებს განიხილავს. აგრარულ მეცნიერებებში შესაძლოა, შემდეგი მიმართულებები დაფინანსდეს: ნიადაგმცოდნეობა, ზოოტექნიკა-ვეტერინარია, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია-ელექტრიფიკაცია და სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდსა და ბიზნესმენ დავით იაკობაშვილს შორის 2013 წლის 24 დეკემბერს ხელი მოეწერა მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, პატრიარქის ფონდი იწყებს სამეცნიერო-საგრანტო კონკურსს. ამ მიზნით გათვალისწინებულია 350 000 ლარი. საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს შეუძლიათ მიმართონ ფონდს პროექტების დასაფინანსებლად, კერძოდ სამ მიმართულებაში – აგრარული მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები და კულტურის სფერო. (ინტერპრესნიუსი)

## რაზე შეთანხმდნენ მარგველაშვილი და უსუფაშვილი?

პრეზიდენტი ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ყოველწლიურ მოხსენებას პარლამენტს 17 თებერვლის სასესიო კვირის განმავლობაში წარუდგენს.

„ამის თაობაზე შეთანხმდნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშველი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მას შემდეგ, რაც შეჯერდა პრეზიდენტისა და პარლამენტის სამუშაო გრაფიკები და შედგა კონსულტაციები საპარლამენტო უმრავლესობასთან და უმცირესობასთან“, – ნათქვამია საქართველოს პარლამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მიუსაფართა თავშესაფარს ლილოში გადაიტანენ



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას განცხადებით, მიუსაფართა თავშესაფარი მოსკოვის პროსპექტიდან დიდი ლილოს ტერიტორიაზე გადავა. მისი თქმით, თავდაპირველად, დიდი ლილოს ტერიტორიაზეც იქნება კარვები, ხოლო მას შემდეგ, რაც აშენდება კონსტრუქციული ნაგებობა, მიუსაფარი ადამიანები იმ შენობაში შესახლდებიან.

„მთავარი გადაწყვეტილება, რაც მივიღეთ, არის ტერიტორიის საკითხი, სადაც გადავა კარვების ქალაქი. კარვებს გადავიტანთ და, პარალელურ რეჟიმში იქნება იმავე ტერიტორიაზე შესაბამისი მშენებლობის პროცესი, ეს არის დიდი ლილოს ტერიტორია. ძირითად კრიტერიუმებს ეს ტერიტორია აკმაყოფილებს“, – განაცხადა ნარმანიამ.

„როგორც კი მინიმალურად აუცილებელ კომუნიკაციებს მოვაწესრიგებთ, დავიწყებთ კარვების გადატანას და ასევე მშენებლობას. გვინდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოვაწესრიგოთ კომუნიკაცია“, – განაცხადა ნარმანიამ.

როგორც დავით ნარმანიამ აღნიშნა, ამ შენობის აშენება, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს დასრულდება. მისივე თქმით, მშენებლობა შენობის ტიპიდან გამომდინარე, იქნება მარტივი და შესაძლოა, ამ სამუშაოებში მიუსაფარი ადამიანებიც ჩაერთონ. (ინტერპრესნიუსი)

## ავღანურ ბაზაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი გაიხსნა

ჰელმანდის პროვინციაში, ბაზა „ლეზერნეკზე“ შემეცნებითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი გაიხსნა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს შეიარაღებული ძალების 31-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებს თავისუფალ დროს სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიშის საშუალება მიეცემათ. ცენტრში სამკითხველო კუთხეც ფუნქციონირებს, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს, ბიბლიოთეკების ასოციაციის, ეროვნული ბიბლიოთეკისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით გაიხსნა.

ბიბლიოთეკაში 300-ზე მეტი წიგნია თავმოყრილი. მათ საშუალება აქვთ, გაეცნონ სამხედრო-ისტორიულ, ლიტერატურულ და თეოლოგიურ წიგნებს. (ინტერპრესნიუსი)

## კატასტროფა თქვენი წაგებული ომი იყო



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიგა ბოკერია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიუნხენის კონფერენციაზე გამოსვლას სრულ კატასტროფას უწოდებს.

„ეს იყო სრული კატასტროფა პრემიერ-მინისტრის. მან არ დააფიქსირა მკაფიო პოზიცია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების; მან არ დააფიქსირა საქართველოს პოზიცია, რამდენად პრობლემატურია ის ვითარება, რომელიც ჩვენ გვაქვს ოკუპირებულ ტერიტორიებთან და ზოგადად, რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით. პრაქტიკულად, გამოვიდა, რომ მან კმაყოფილება გამოთქვა არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით და გაახმოვანა ის პოზიცია, რომელიც აქვს რუსეთის ფედერაციას, იანუკოვიჩის ხელისუფლებას, რომ რუსეთმა უნდა მიიღოს მონაწილეობა უკრაინის ბედის გადაწყვეტაში. ეს არის გამყარება იმ კონცეფციის, რომ რუსეთს აქვს უფლება, ჩვენი, უკრაინის და ყველას ბედი გადაწყვიტოს“, – განაცხადა ბოკერიამ. (ინტერპრესნიუსი)

## სემეკმა „ყაზტრანსგაზზე" ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო

შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის" მიერ 2013 წლის დეკემბერსა და 2014 წლის იანვარში მომხმარებლების მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვისა და შესაბამისად, განხორციელებულ დარიცხვებთან დაკავშირებით სემეკში საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

სემეკის ცნობით, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში 6 თებერვლის კომისიის საჯარო სხდომაზე დანიშნულია საკითხთან დაკავშირებით შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის" პოზიციის მოსმენა.

„ბოლო პერიოდში შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის" მომხმარებელთა ნაწილი გამოთქვამს შეშფოთებას, მიმდინარე წლის იანვრის თვეში მოხმარებული ბუნებრივი აირის გადასახადის მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში არ შემოსულა მომხმარებელთა განცხადება/საჩივარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომისია თავს ვალდებულად მიიჩნევს, მოახდინოს რეაგირება და მიაწოდოს საზოგადოებას შესაბამისი ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის" მიერ 2013 წლის დეკემბერსა და 2014 წლის იანვარში მომხმარებლების მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვისა და შესაბამისად, განხორციელებულ დარიცხვებთან დაკავშირებით სემეკში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებშიც 2014 წლის 6 თებერვლის კომისიის საჯარო სხდომაზე დანიშნულია საკითხთან დაკავშირებით შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის" პოზიციის მოსმენა", – აცხადებენ სემეკში. (ინტერპრესნიუსი)

# ვინ არის ქართველი პროკურორი, ვის გამოც კეზერაშვილი გაათავისუფლეს?



„ნაციონალებმა" თეთრი ბაირაღები გადმოფინეს, მათი მთავარი დამფინანსებელი და „ნაცბანდის" თავდაცვის ომწაგებული ექსმინისტრი და „შავი სალაროს" „ბოსი" თავისუფალია!

საქართველოს პროკურატურა კიდევ ერთხელ ჩაფლავდა და დაამტკიცა, რომ დემორალიზებულია, ფრანგი პროკურორისა და მოსამართლის კითხვებს საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელმა ირაკლი დონდოლაძემ პასუხები ვერ გასცა, ის იდგა აყლაყუდასავით და თუთიყუშივით იმეორებდა ერთსა და იმავეს, მე მხოლოდ ექსტრადირების თემაზე ვმუშაობ, კონკრეტულ დეტალებს არ ვფლობ, საქართველოში დავრეკავ, გავარკვევ და გეტყვით, კეზერაშვილთან მიმართებაში ბევრი კითხვა არსებობს და უმჯობესი იქნება, თუ ის ამ კითხვებს პასუხებს საქართველოში გასცემსო. ამის პასუხად ფრანგმა პროკურორმა დონდოლაძეს მიახალა: „თქვენ ბოდავთ, დონდოლაძე! ქართულ მხარეს უარი ეთქვას, ვიმეორებ, უარი ეთქვას დავით კეზერაშვილის ექსტრადიციაზე, რადგან იკვეთება პოლიტიკური მოტივები!"

ახლა კი გავარკვიოთ, ვინ არის ირაკლი დონდოლაძე? „ალიას ინფორმაციით, ის დაინიშნა ადეიშვილის პროტექტორობით და მისი გუნდის წევრად ითვლება. დღემდე საუბარია, რომ პროკურატურაში ადეიშვილის აჩრდილად დადის, ყველა ინფორმაცია მასთან იყრის თავს და ხშირ შემთხვევაში ადეიშვილთანაც კი თანხმდება გარკვეული საკითხები. ირაკლი დონდოლაძე საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსია, რომელსაც თავმოყვარე სახელმწიფო ბატებსაც კი არ ჩააბარებს მოსამწყემსად. გაარკვიოს მთავარმა პროკურორმა, თუ, ცხადია, სურვილი აქვს, ვისი კლანის წევრია დონდოლაძე და რა კავშირები აქვს ადეიშვილთან?! ისე კი, კაცი გვარს ასე ამართლებდეს, იშვიათად მინახავს. დონდლე ხარ, დონდოლაძე!

იუსტიციის მინისტრმა კეზერაშვილის განთავისუფლებამდე დააანონსა, „თუკი საფრანგეთის სასამართლომ თავდაცვის ექსმინისტრ დავით კეზერაშვილს აღმკვეთი ღონისძიება შეუცვალა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ უარი იქნება ნათქვამი ექსტრადიციაზეც".

საქართველოს ხელისუფლებისთვის კეზერაშვილის ექსტრადირების საქმე გადამწყვეტია, თუკი კეზერაშვილი საქართველოს არ გადმოეცემა, უნდა ჩავთვალოთ, რომ მადლობის წერილს, „ფეისბუკით" ივანე მერაბიშვილიც გაავრცელებს, ისევე როგორც ეს კეზერაშვილმა შემოთვალა საფრანგეთიდან – „მადლობა ყველას, თავისუფალი ვარ!" რაც „ოცნების" დასამარების დასაწყისს და 2016 წელს უმრავლესობით მოსული კოალიციის ჩემოდნების ჩალაგებას ნიშნავს, თუკი ხელისუფლება დამნაშავეთა, მკვლელთა, გვამებზე მორბენალთა დანაშაულს ვერ დაამტკიცებს და ევროპასა თუ ამერიკას მუშტს არ დაუბრახუნებს, იმის შიშით არ ვაწყენინოო, ეს ნიშნავს, რომ მათი ადგილი ხელისუფლებაში კი არა, ციხეშია, რადგან გამოდის, რომ მერაბიშვილს, კეზერაშვილს, ახალაიას, უგულავას ცილს სწამებენ(?!).

„ნაციონალებმა" სახელდახელო ბრიფინგი გამართეს და გოკა გაბაშვილმა ტრიბუნა „დალეჭა": „სასამართლომ მიიღო სამართლიანი და ლოგიკური გადაწყვეტილება. ამას უძლოდა უპრეცედენტო რამ, როდესაც თავად ბრალმდებელმა პროკურორმა თქვა, რომ საქართველოდან მიწოდებულ საქმეს, ეტყობა, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა და საქმე არის შეკერილი. საქართველოს ხელისუფლების მთელი მოქმედება და ქცევა მიუთითებს იმაზე, რომ მათი ინტერესი არის სუფთად პოლიტიკური იმისთვის, რომ თავისი პოლიტიკური ოპონენტი დააპატიმრონ". ძვირფასო ხელისუფლება, ისე თავმდაბლობთ, რომ ხაზინის ქურდები, გვამების „დამზაკაზებლები", პატიმრების ცოცხზე წამომსმელნი, დაგცინიან! ნახელისუფლარს მილიარდების „მოტეხვას" და ადამიანების „დაზაკაზებას" რომ ვერ დაუმტკიცებ, მაშ, რა ხელისუფლება ხარ?! საქმეს ისეთი პირი უჩანს, ცოტა ხანში ხალხი აღმოჩნდება კოლექტიური მიშა, „კეზერა" და ვანო!

მთელი დღის მანძილზე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ კეზერაშვილი ექსან პროვანსის სასამართლოდან გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს და ის ისეთი „კრუტოი" ტიპია, სულ ფეხებზე ჰკიდია სასამართლოს გადაწყვეტილება და გირაოს გადახდას არ აპირებსო. საბოლოოდ საქართველოს პროკურატურამ ოფიციალური განცხადება გააკეთა და აი, რა გაირკვა: დავით კეზერაშვილი პატიმრობიდან ელექტრონული სამაჯურის გამოყენების პირობით განთავისუფლდა. მოსამართლემ აუკრძალა საფრანგეთის ტერიტორიის დატოვება და დააკისრა ვალდებულება, იცხოვროს ექსან პროვანსში მოსამართლის მიერ მითითებულ კონკრეტულ მისამართზე. გადაწყვეტილების თანახმად, კეზერაშვილს სასამართლომ უფლება მისცა, დატოვოს საცხოვრებელი ადგილი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მხოლოდ 10:00-დან 18:00 საათამდე, ხოლო შაბათს და კვირას 09:00-დან 21:00 საათამდე. ელექტრონული სამაჯურის ტარების ვადად განისაზღვრა დღეიდან 6 თვე და არა მხოლოდ 27 თებერვლამდე პერიოდი, როდესაც ექსტრადიციის საკითხზე მოსამართლემ მსჯელობა უნდა განაახლოს.

აქვთ თუ არა „ნაცებს" სიხარულის საფუძველი და არის თუ არა საბოლოოდ თავისუფალი მთავარი „კასირი"? გადმოეცემა თუ არა ის ქართულ მხარეს?

ადვოკატი **გელა ნიკოლაიშვილი** „ალიასთან" აცხადებს: „დასავლეთში მიღებულია პრაქტიკა, რომ წინასწარი გამოძიების დროს, გამონაკლისის სახით, იყენებენ პატიმრობას აღმკვეთი ღონისძიების სახით და ისიც გასაკვირი იყო, რომ აქამდე გამოყენებული იყო კეზერაშვილის მიმართ პატიმრობა. როგორც წესი, გირაოს უფარდებენ. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებამ მყარი მტკიცებულება ვერ წარადგინა და საფრანგეთის სასამართლომ ის გაათავისუფლა. გადმოსცემენ თუ არა საქართველოს, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად უტყუარი მტკიცებულებები აქვს მის დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით ქართულ მხარეს, ამის დამტკიცება არ უნდა იყოს რთული, თუკი საქართველოს პროკურატურა ამ საკითხს პროფესიონალურად მიუდგება.

**— რატომ გაუკეთეს 6 თვით სამაჯური?**

– იმიტომ, რომ 27 თებერვლიდან იწყება ექსტრადიციის საკითხის განხილვა და არა დასრულება.

რა მოხდება, თუკი ფრანგული მხარე საქართველოს მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და კეზერაშვილს არ გადმოგვცემს? ამ კითხვაზე იურისტი **კახა კახიშვილი** „ალიასთან" აცხადებს: „საქართველოს პროკურატურას შეუძლია, დაუსწრებლად განიხილოს მისი საქმე"...

„ალია" დაუკავშირდა საქართველოში კეზერაშვილის ადვოკატს **შოთა მინდელსაც**: „27 თებერვალს გამოცხადდება საბოლოო გადაწყვეტილება და არასწორი ინფორმაციაა ის, რომ 27 თებერვალს იწყება ექსტრადიციის საკითხის განხილვა. მას ნამდვილად უნდა ეკეთოს ელექტრონული სამაჯური, ნათქვამი იყო 6 თვე, მაგრამ ეს 6 თვე განპირობებულია ტექნიკური საკითხის გამო, რადგან სამაჯური პროგრამდება მხოლოდ 6 თვით, რაც არ ნიშნავს, რომ კეზერაშვილს მართლა 6 თვე უნდა ეკეთოს სამაჯური".

წინ კიდევ ბევრი სიურპრიზი გველის, ნაადრევი არ აღმოჩნდეს სიხარული, „ნაცებო"!

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნუცუბიძეზე მომხდარი მკვლელობა გახსნილია



სამართალდამცველებმა 24 იანვარს, ნუცუბიძის მე-3 პლატოზე მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნეს. შსს-ს ცნობით, თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს 1-ლი განყოფილების თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული თენგიზ გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 24 იანვარს თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მიკრორაიონში, 171-ე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით 1997 წელს დაბადებული მიხეილ ჟ. მუცლის არეში, 1997 წელს დაბადებულ ნიკოლოზ კ. მარჯვენა ბარძაყში და 1997 წელს დაბადებული მიხეილ ტ. გულმკერდის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილები გადაიყვანეს ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის „ემერჯენსის" განყოფილებაში, სადაც მიხეილ ტ. მძიმე ჭრილობისგან მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მიხეილ ჟ.-სა და ნიკოლოზ კ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

## პროკურატურა მერაბიშვილის ადვოკატებს პასუხობს

საქართველოს მთავარი პროკურატურა ვანო მერაბიშვილის ბრალდების საქმესთან დაკავშირებით დაცვის მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება. როგორც პროკურატურაში განმარტავენ, სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მხარის ორი საკვანძო მოწმე, რომლებმაც დაადასტურეს ივანე მერაბიშვილისთვის წარდგენილი ბრალდება.

„დაცვის მხარის განცხადებები, ბრალდების მოწმეების მიერ მათთვის სასარგებლო ჩვენებების მიცემის შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს და წარმოადგენს ბრალდებულისთვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობას. მოწმეებმა ცალსახად დაადასტურეს, რომ 2011 წლის 26 მაისს სამართალდამცავები მოქმედებდნენ ივანე მერაბიშვილის ბრძანებით, ჩატარდა სადამსჯელო ოპერაცია, რომლის მიზანი იყო არა მიტინგის დაშლა, არამედ მშვიდობიანი მომიტინგეების ალყაში მოქცევა და მათი მასობრივი დაკავება", – აცხადებენ პროკურატურაში. (ინტერპრესნიუსი)

## რკინიგზა მგზავრს ბილეთის საფასურს აუნაზღაურებს

„საქართველოს რკინიგზა" მგზავრებს ბათუმი-თბილისის მარშუტზე 1-ელ თებერვალს შექმნილი პრობლემისა და დაგვიანების გამო ბოდიშს უხდის. როგორც რკინიგზის განცხადებაშია ნათქვამი:

„ძლიერმა ქარმა დაარღვია საკონტაქტო ქსელის გაბარიტი, რასაც მოჰყვა მატარებლის მოძრაობის შეფერხება, ხოლო 1-ლი თებერვლის ხანგრძლივი დაგვიანება უკავშირდება 2011 წლის 12 მარტს შეძენილ და 2013 წლის პირველ ნახევარში მიღებულ ჩინეთში წარმოებულ ელექტრომატარებლებს. აღნიშნულის შეძენისას ტექნიკურ დავალებაში არ იქნა გათვალისწინებული საქართველოში არსებული კლიმატური პირობები, ასევე სექციებს არ აქვს შესაძლებლობა, ჩაებას ლოკომოტივს, რის გამოც პრობლემის აღმოფხვრა ჭიანურდება. გაუმართავი ტექნიკური დავალების გაცემის თაობაზე ხორციელდება მოკვლევა შესაბამისი უწყებების მხრიდან. ამჟამად ჩინელი სპეციალისტების მიერ მიმდინარეობს აღნიშნული სამგზავრო შემადგენლობების ადაპტირება საქართველოს რკინიგზის მოთხოვნებთან..."

„საქართველოს რკინიგზა" მგზავრებს შექმნილი ვითარების გამო ბოდიშს უხდის და მზადყოფნას გამოთქვამს, მატარებელი №851 მახინჯაური-თბილისის პირველი თებერვლის ყველა მგზავრს აუნაზღაუროს სამგზავრო ბილეთის საფასური.

ბილეთის დაბრუნებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებას მგზავრები შეძლებენ „საქართველოს რკინიგზის" საინფორმაციო სამსახურის ნომერზე – 1331. (ინტერპრესნიუსი)

# კულუარები



რაო, გვამებზე მორბენალო „ნაციონალებო“, საომარი რიტორიკა, სისხლი და დენთის სუნი მოგენატრათ? ეგ დრო დასრულდა! ბოკერია, რა გაგდებს შოკში? შოკში ჩამგდები წინ გიზის და იმას მოაკეტინე! არ მოგეწონათ, ღარიბაშვილმა თქვენი ექსპრეზიდენტივით დორბლი რომ არ ყარა რუსების ლანძღვაში?

ტანისტური პოლიტიკის რკინის ფარდის ჩამოხსნას, რომლის უკანაც იმალება აგვისტოს „გაპრავებული“ ომი და ადამიანების სიცოცხლით გაკეთებული მილიარდები. „ნაცშპანავ“, როცა თქვენი პრეზიდენტი სააკაშვილი პუტინს უკანალში უძვრებოდა – პუტინს ხელს ვუწვდიო და „იზვესტიაში“ დეკლარირებდა: „როცა პუტინს თვალებში ჩავხედე, დიდი პატრიოტიზმი დავინახე, ასეთი თვალები მსოფლიოში არავის აქვს“-ო... სააკაშვილი ამას რომ ამბობდა, მაშინ, ყურები მიხატული გქონდათ, თუ თქვენს დაკრულზე უნდა ვიცეკვოთ, იმიგამოსვლას ვულოცავო? ინგლისური დაგავიწყდათ? ეს იმ ქვეყნის ელჩია, თქვენ რომ მასზე სწორებას აკეთებთ, ჰოდა, ახლა სწორდით და გასრიალდით ბუნაგში.

სააკაშვილი 9 წლის განმავლობაში მხოლოდ საკუთარი თავის პიარით იყო დაკავებული. ცდილობდა, მსოფლიოში დაემკვიდრებინა ისეთი პრეზიდენტის იმიჯი, თითქოსდა სხვა ქვეყნებს კონსულტაციებს უწევდა და საერთაშორისო პოლიტიკის ფლაგმანი იყო. რეალურად ხან ჩე გევარას როლში იყო, ხან გლობალურ პროექტებს მიედ-მოედებოდა. შეხედეთ, აბა, დღეს ვინ არის?

მოკლედ, უკრაინის „განმათავისუფლებელი“ დიდი ბელადი სააკაშვილი კლიჩკოს მხარდასაჭერად მივიდა, მაგრამ ეს ნიჩურიტებით. მიუნხენის კონფერენცია – ეს ხომ „პოლიტიკური დავოსია“, „ელიტარული ტუსოვკა“, გუშინდელი და დღევანდელი პოლიტიკოსების თავშეყრის ადგილი. ცხადია, სააკაშვილი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა.

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია ხანდახან სკანდალის ფორ-

ჰკითხეს, რა იყო კონფერენციაზე მისი დასწრების მიზანი? სააკაშვილმა განუმარტათ, რომ მისი მიზანია უკრაინის დელეგაციის მხარდაჭერა. მი-


„მზად ვარ ვლადიმერ პუტინის ხელი გავუწოდო“

# რა მიზნით „ჩააწყო“ სააკაშვილმა მიუნხენში ჩასვლის უფლება?

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა მიუნხენის უსაფრთხოების 50-ე კონფერენციაზე იყო ლიდერის გამოსვლა, რომელიც არა პირად პოლიტიკურ დივიდენდებზე, არამედ ქვეყნისთვის რეალური შედეგის მოტანაზე იყო ორიენტირებული. პრემიერმა თავი არ აარიდა არც ერთ სენსიტიურ, ფაქიზ თემას. დასავლელი ლიდერების მსგავსად, მკაფიოდ დაგმო ყოველგვარი ძალადობა და გამოთქვა იმედი, რომ ჩვენს მეგობარ უკრაინაში ხელისუფლება, ხალხი და ოპოზიცია კონსენსუსს მიაღწევენ. ისაუბრა საპრეზიდენტო არჩევნების სანიმუშოდ ჩატარებაზე, ევროასოცირების პარაფირებაზე, მკაფიოდ დააფიქსირა საქართველოს ურყევი ნება ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ და ხაზი გაუსვა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების აუცილებლობას. ყურადღება გაამახვილა საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ გაბმულ მავთულხლართებზე და რუსეთის მხრიდან შექმნილ პრობლემებზე.

რუსეთისადმი კონფრონტაციული რიტორიკის შეცვლა – ეს ნიშნავს „ნაცების“ სატომ, რომ აგვისტოს ომი არ გაგიშიფრონ და თქვენი ფულებით თვალებდაბნელებულმა პოლიტელიტამ პოლიტიკური ტყვია არ დაგახალოთ? სააკაშვილს ჰკითხეთ, პუტინი როგორ „გადააგდო“, რატომ არ შეუსრულა, რასაც დაჰპირდა? როცა თქვენი პრეზიდენტი აცხადებდა, პუტინს ხელს ვუწვდი და მაქსიმალურად შევეცდები, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები დავარეგულიროთო და მეორე ხელით სანგრებს თხრიდა, ეგ როგორ იყო, „ნაცებო“? დღეს თქვენ ბედავთ და ხელისუფლებას თავს ესხმით, რუსეთთან საომარი რიტორიკა რატომ არ გაქვსო?! ჩვენ დავკარგეთ ტერიტორიები, ჩვენ ჩაგვიხოცეს ჯარისკაცები, თქვენ ქართველები საკუთარ სამშობლოში დევნილებად აქციეთ! ამის შემდეგ ბედავთ და ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას ბოდვად აფასებთ? თქვენმა ბოდვამ დაგვაკარგვინა ტერიტორიები და თქვენი ბოდვით შოკში დატოვეთ ქართველები... ბოკერია, როგორ გავიგოთ ამერიკის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადება, პრემიერ-მინისტრს მიუნხენში წარმატებულ ერთი დაბოღმილი ჩოყლაყი, ღრუბელ-ღრუბელ რომ დაფრინავს დოპინგამორტყმული.

ღარიბაშვილი კონკრეტული შედეგებით ბრუნდება საქართველოში, გაიმართება გერმანიის ბიზნესფორუმი. ამ დრომდე საქართველოში გერმანული ინვესტიციები თითქმის არ შემოსულა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კი, გერმანია საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ საქართველოს ეწვევიან გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, ეს ორი ქვეყანა გვბლოკავდა და ევროატლანტიკურ გზაზე ამ ორი ქვეყნის პოზიცია საქართველოსთვის გადამწყვეტია.

სააკაშვილის დიდი სურვილის მიუხედავად, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია თავისი გამოჩენით გადაეფარა, „კამერების ხურუშიანს“ ეს არ გამოუვიდა. გაჩნდა კითხვები, როგორ მოხვდა იქ ექსპრეზიდენტი, რომელმაც დააბრეხვა, – პოლიტიკაში ნუ ჩამრევთო. თუ პოლიტიკას „დაუაბგონე“, აბა, მიუნხენის კონფერენციაზე ჯონჯოლის გასარჩევად მიხვედი, მიხეილ? მას იღებს, პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე იხსენებს მაგალითს, რამდენიმე წლის წინათ პუტინმა გამოსვლა რა სკანდალებით დაასრულა, როცა ღია ტექსტით დასავლეთს უთხრა, არასანდოები ხართო. სააკაშვილი იქ დაერჭო კაკლის საბერტყი ჯოხივით, იმიტომ რომ საქართველოს ჩავარდნილი ვიზიტი ენახა, მაგრამ ვერ მიართვეს. სოსო ცინცაძე ვიზიტს აფასებს და აცხადებს: პირდაპირ გეტყვით, არ მოველოდი საქართველოსთვის იმ კარგ პერსპექტივას, რომელიც იქ გაჩნდა.

„ალია“ დაინტერესდა, როგორ აღმოჩნდა იქ სააკაშვილი, ან რა უნდოდათ მსოფლიო ლიდერების შეხვედრაზე „ნაცდეპუტატებს“, რა ხდებოდა კულუარებში. გავარკვიეთ, რომ კონფერენციის მონაწილეს სტუმრის მიპატიჟების უფლება არა აქვს, შესაბამისად, სააკაშვილი ტყუის, როცა ამბობს, კლიჩკოს მიწვევით ჩავედი მიუნხენშიო. წინასწარ უნდა შეიტანო განაცხადი, რომ გსურს, დაესწრო კონფერენციას. სააკაშვილს უარს არ ეტყოდნენ, რადგან ის ექსპრეზიდენტია. მოგვწონს თუ არა ჩვენ, ის პოლიტიკური ფიგურაა. სააკაშვილმა შემდეგი პროცედურები გაიარა კონფერენციაზე მოსახვედრად: მან აცნობა, რომ სურდა კონფერენციაზე დასწრება, მისცეს აკრედიტაცია და ჩავიდა, სადაც ნახევარი დღე დაჰყო. „ალია“ დაინტერესდა, კონფერენციის ორგანიზატორებს ოფიციალურად უნდა ეცნობებინათ თუ არა სააკაშვილის ჩასვლის შესახებ ქართული მხარისთვის. როგორც გავარკვიეთ, არ იყო სავალდებულო, ორგანიზატორებს საქართველოს დელეგაციისთვის ეცნობებინათ, რომ სააკაშვილმა მოითხოვა კონფერენციაზე მისვლა. საქართველოს ხელისუფლების აზრი დასწრება-არდასწრებაზე არ იქნებოდა გადამწყვეტი კონფერენციის ორგანიზატორებისთვის, რადგან სააკაშვილს არ მოუთხოვია სიტყვით გამოსვლა. „ალიამ“ ასევე გარკვია, რომ კონფერენციის ორგანიზატორები სააკაშვილთან წინასწარ იყვნენ შეთანხმებული და პირობა ჰქონდათ მისგან აღებული, რომ ხელისუფლებას არ გააკრიტიკებდა და პოლიტიკაზე არ ისაუბრებდა. ჩვენი ინფორმაციით, ორგანიზატორებმა სააკაშვილს უნხენში სააკაშვილს ძველებურად არავინ დახვდა.

კითხვა მაქვს „ნაციონალებთან“: დემაგოგებო, თვალთმაქცებო, მესმის, სიძულვილის ენა თქვენნაირს მხდის, მაგრამ თქვენ სხვა ენა მაინც არ გესმით, ჰოდა, გეკითხებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება რომ გშოკავთ, – ოფიციალური კიევის საკითხს რუსეთი და ევროკავშირი გაარკვევს, ჩვენ კი ვგმობთ ძალადობასო... თქვენ რომ უკრაინის შიდა საქმეებში ერევით, მიტინგებზე მოწოდებებს აკეთებთ, ძირს რუსეთი, ძირს იანუკოვიჩი, გაუმარჯოს ოპოზიციასო, ეს დანაშაული არ არის? გივი თარგამაძე უკრაინის არჩევნებში ტიმოშენკოს სასარგებლოდ „ქართველ კანონიერ“ ქურდებს რომ რევდა, ეს კრიმინალი არ არის? სააკაშვილი პრეზიდენტის სტატუსით, უკრაინის არჩევნებზე ვანოს ბიჭებს რომ გზავნიდა, ეს დარღვევა არ არის? ჰოდა, „ნაცებო!“ მიგიჭირხვნეთ სამართალი...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაციონალების“ ლიდერების სახლებთან აქციები გაიმართება




არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრი“ 4 თებერვლიდან იწყებს კამპანიას, ლოზუნგით „დააბრუნეთ წართმეული ბიუჯეტი“. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელი ზურაბ ქადაგიძე აცხადებს, კამპანიის ფარგლებში, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების საცხოვრებელ სახლებთან საპროტესტო აქციები გაიმართება.

ქადაგიძის ცნობით, აქციას უერთდებიან სხვადასხვა ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები და უფლებადამცველები. მისივე თქმით, მსგავსი შინაარსის აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. (ინტერპრესნიუსი)

## ირაკლი ღარიბაშვილი ევროკომისარს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში საშინაო საქმეებში ევროკომისარ სესილია მალმსტრომს შეხვდა. პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, ღარიბაშვილმა მადლიერება გამოხატა ევროკავშირ-საქართველოს ფარგლებში სავიზო რეჟიმის შესახებ დიალოგის პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგში, მათ შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთხით, არსებული პროგრესი და შემდგომი ნაბიჯები.

როგორც ევროკომისარმა შეხვედრაზე განაცხადა, კომისია უახლოეს დღეებში გაეცნობა ქართული მხარის მიერ აღებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას. ასევე, გაზაფხულზე იგეგმება შემფასებელი კომისიის ვიზიტი საქართველოში, რათა ადგილზე გაეცნონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. (ინტერპრესნიუსი)

## ნორლანდი ღარიბაშვილის ვიზიტით კმაყოფილია



აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე წარმატებულ გამოსვლას ულოცავს.

„ჩვენ ვიცით, რამდენად დიდია ქართველი ხალხის მოლოდინი იმ შედეგებისადმი, რომელსაც ასოცირების ხელშეკრულებაზე, ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერა მოიტანს. ამ შეთანხმებების ხელმოწერა უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს საქართველოს, ასევე მის მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, თავისუფლად გადაადგილდნენ ევროპაში. ქართველ ხალხს აქვს ამის მოლოდინი“, – განაცხადა ნორლანდმა.

ელჩის ინფორმაციით, ამერიკული ბიზნესკომპანიები უკვე წარმოდგენილია საქართველოს ბაზარზე და აშშ მომავალშიც განაგრძობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას.

„საქართველოში საკმაოდ ცივი იანვარი იყო, თუმცა ამ წლის ეკონომიკური პროგნოზები ძალიან კარგია. შესაბამისად, გზავნილი, რომელიც უნდა გავაჟღეროთ, არის ის, რომ საქართველო ღიაა ბიზნესისთვის“, – აღნიშნა ნორლანდმა. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოს მოქალაქე უკრაინაში მანქანის დაწვის გამო დააკავეს




საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, დავით ზალკალიანი უკრაინაში საქართველოს მოქალაქის მანქანის დაწვის გამო დაკავებას ადასტურებს. საქართველოს საკონსულო უკრაინაში მასთან კონტაქტზე იმყოფება, მას ასევე გაუგზავნეს თარჯიმანი.

„თუმცა, როგორც ის პირად საუბარში საკონსულოს წარმომადგენელთან აცხადებს, იყო შეცდომაში შეყვანილი და ინანიებს საქციელს, რომელიც ჩაიდინა. ჩვენ ვართ მასთან კავშირზე და საკონსულო სამსახური თავის ფუნქციას პირნათლად ასრულებს, საქართველოს მოქალაქის ყველა უფლება დაცული იქნება“, – განაცხადა ზალკალიანმა.

საქართველოს მოქალაქის დაკავების შესახებ ინფორმაცია უკრაინულმა მედიამ დაახლოებით ორი დღის წინ გაავრცელა. მათი ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე მაშინ დააკავეს, როდესაც ის ავტომობილს წვავდა. მათივე მტკიცებით, გარკვეული პირები ადამიანებს 300 უკრაინულ გრივნას უხდიდნენ, იმისთვის რომ მაიდანის აქტივისტების ავტომობილები დაეწვათ. (ინტერპრესნიუსი)

## ახალაიას სასამართლო პროცესი გადაიდო

ბაჩო ახალაიას ავადმყოფობის გამო სააპელაციო სასამართლოში ჩანიშნული პროცესი გადაიდო. ახალაიას ადვოკატის, მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, ბაჩო ახალაიას გრიპი აქვს.

„ბაჩო ახალაიას გრიპი აქვს და ამის გამო ვერ მოვიდა პროცესზე. სერიოზული არაფერია“, – განაცხადა ველიჯანაშვილმა.

მისივე თქმით, ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე პროცესი 14 თებერვალს გაიმართება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




# ექსკლუზივი

# მთავარი პროკურორის გასაიდუმლოებული ბრძანება

## რა აეკრძალათ თანამშრომლებს?

როგორც ირკვევა, 2013 წლის 14 დეკემბერს ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ გამოსცა შიდა ბრძანება №69-მ „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურორისთვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“, სადაც ვკითხულობთ: 1. დაევალოთ საქართველოს პროკურატურის მუშაკებს მათ მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებისა და სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში წინასწარ, წერილობითი ფორმით (მოხსენებითი ბარათი, განცხადება) აცნობონ საქართველოს მთავარ პროკურორს: 2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დაისვას საკითხი პროკურატურის მუშაკის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე; 3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციას; და. ა.შ.

**„ალიას“ ეს გასაიდუმლოებული დოკუმენტი ანონიმურმა წყარომ გადასცა და ბრძანების გამოცემის სავარაუდო მიზეზებიც განმარტა:**

– აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ პროკურატურის მუშაკმა, თუ ის დატოვებს საქართველოს ტერიტორიას და გადაკვეთს საზღვარს, საქმის კურსში აუცილებლად უნდა ჩააყენოს მთავარი პროკურორი და მისი გადაწყვეტილების შესახებ წერილობით უნდა აცნობოს მას. არანაირი მიზეზი და განსაკუთრებული საფუძველი დოკუმენტში მითითებული არ არის, ნებისმიერ შემთხვევაში ასე უნდა მოიქცეს. თუ პროკურატურის თანამშრომელი საზღვარს მთავარი პროკურორის სპეციალური ნებართვის გარეშე გადაკვეთს, მისი საქმე შესასწავლად გადაეცემა გენინსპექციას და მას დისციპლინარული პასუხისმგებლობა დაეკისრება.

**— კი, მაგრამ იქნებ ადამიანს უქმე დღეებში ოჯახთან ერთად საყიდლებზე უნდა, მაგალითად, თურქეთში გადასვლა, მაშინაც?**

– დიახ, მაშინაც აქვს ეს ვალდებულება. ბრძანებით დაევალა კადრების განყოფილებას, რომელიც მკაცრად გააკონტროლებს ამ საკითხს. თუ არ იცი და საზღვარი გადაკვეთე, ხომ პრობლემა გექმნება და თუ იცი და მაინც გააკეთე, პირადი საქმის გაფუჭებამდე მივა საქმე.

პროკურატურის თანამშრომლები „ალიასთან“ საუბარში ვერ ხსნიან ამ ბრძანების გამოცემის აუცილებლობას, რადგან, თუ მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელობას იმის შიში აქვს, ინფორმაცია არ გავიდეს საზღვრებს გარეთ, რატომ ავიწყდებათ, რომ არსებობს კომუნიკაციის უამრავი საშუალება, რითაც საზღვარგარეთ წაუსვლელად შეიძლება ინფორმაციის მიწოდება. ამიტომ ვარაუდობენ, რომ ბრძანების გამოცემის რეალური მიზეზი პროკურორების დაშინებას, მუდმივად ზეწოლის რეჟიმში ყოფნას ითვალისწინებს.

**„ალია“ პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ᲗᲔᲛᲣᲠ ᲓᲝᲚᲘᲫᲔᲡ დაუკავშირდა იმაში გასარკვევად, რამდენად კანონიერია ეს ბრძანება და რა მოტივით იქნა ის გამოცემული.**

– ეს არის შიდა ბრძანება და ჩვენ უნდა დავინტერესდეთ, ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია, რადგან არ შეიძლება, ეს ბრძანება გარეთ გაიტანოს პროკურატურის თანამშრომელმა. არ შეიძლება, ეს დოკუმენტი დაიბეჭდოს სადმე გაზეთში, ან ჟურნალში და აფრიალდეს ტელევიზიით. ამის გარეთ გატანა გენინსპექციის დაინტერესების სფერო გახდება.





ბრძანება № 69-მ

ასეთი სახის ბრძანების გაცემა სამსახურებრივმა საჭიროებამ განაპირობა, მეტ განმარტებას არ ვაკეთებთ. ეს შიდა ბრძანება მხოლოდ თანამშრომლებისთვის არის განკუთვნილი და მის გამომზეურებას, სჯობდა, შიგნით დაესვა ეს საკითხი. რა შიდა ბრძანებასაც გავაკეთებთ, ყველაფერი თქვენ უნდა გაიგოთ?

**— ყველაფერი ხომ არც ვიცით, ბატონო თემურ?**

– სულ ორი შიდა ბრძანებაა გაკეთებული, ორივე გაქვთ და მეტი რა ვთქვა? ყველაფერი გამოდის პროკურატურიდან. ვიღაცა რომ განაწყენდება და ჟურნალისტებს გაყენებთ საქმის კურსში, ასე არ შეიძლება. თუ ასე მოხდა, რაღა აზრი აქვს შიდა ბრძანების გამოცემასა და კონფიდენციალობას?

**„ალია“ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲛᲐᲚᲐᲫᲔᲡ დაუკავშირდა იმაში გასარკვევად, რამდენად კანონიერია ეს გადაწყვეტილება.**

– პირველად მესმის მსგავსი გადაწყვეტილების შესახებ. ასეთი შეზღუდვა კანონით არ არის გათვალისწინებული, „პროკურატურის შესახებ“ კანონი ამას არ ამბობს, კონსტიტუციის მიხედვით ადამიანის გადაადგილება გარანტირებულია, 22-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, თავისუფლად შეუძლია, ყოველგვარი განსაკუთრებული პირობის გარეშე გადაკვეთოს საზღვარი. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, ანუ კანონით უნდა იქნეს განსაზღვრული, რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ქვეყნის დატოვების უფლება: დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი, სახელმწიფო უშიშროებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. ესენია საფუძვლები, რის გამოც შეიძლება შეიზღუდოს. შესაბამისად, ასეთი შეზღუდვის დაწესება არ შეიძლება კანონქვემდებარე აქტით. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ამ ბრძანებით გადაადგილების თავისუფლება იმდენად ზედმეტად არის შეზღუდული, რომ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

**— ალბათ, უფრო დეტალურად გაერკვევით, როგორც პარლამენტის წარმომადგენელი...**

– ამ ბრძანებაში ზოგადი შეზღუდვაა და მიზეზები დაკონკრეტებული არ არის. ჩემი აზრით, ეს შეზღუდვა უნდა გაუქმდეს დაუყოვნებლივ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბურჯანაძე პრორუსულ პოლიტიკას „აპრავებდა“?




გიგი უგულავამ ნინო ბურჯანაძის მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება შეაფასა და განაცხადა, რომ ნინო ბურჯანაძის რუსული მანიფესტი ძირითადად ეხებოდა საკუთარი თავისა და საკუთარი პრორუსული პოლიტიკის „გაპრავებას“.

„რაც შეეხება საგნობრივ მხარეს, ძალიან კონკრეტულად ქალბატონმა ნინომ აღიარა, რომ დიახ, მისი მონაწილეობით, მისი ხელის თუ სხვა საკვანძო პირების მონაწილეობით, დროშის ტარები გამოყენებული იყო, როგორც ხელკეტები, ტრანსპარანტები გამოყენებული იყო, როგორც ფარი და „მოლოტოვის კოქტეილები“ ასევე ეკუთვნოდათ მის მომხრეებს. მას ერთადერთი გასამართლებელი არგუმენტი ჰქონდა ის, რომ თუ ეს შესაძლებელია უკრაინაში, რატომ არ არის დასაშვები საქართველოში. მას უნდა ვუპასუხო, რომ უკრაინელი ხალხი იბრძვის დამოუკიდებლობისთვის, რუსეთის ორბიტიდან გასვლისთვის, ევროპული მომავლისთვის და თავისუფლებისთვის. დიახაც, ეს შესაძლებელია და დასაშვებია ამ შემთხვევაში. ნინო ბურჯანაძე, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ჩაშლას ცდილობდა. ის ღიად პრორუსულ ხაზს ატარებდა და ის და მისი ვაჟი ოცნებობდნენ რუსეთის ჯარის შემოსვლაზე. სწორედ ასეთ პირობებში ეს არ არის დასაშვები და სახელმწიფო მოქმედებს სწორად, როდესაც ასეთი რამის ალაგმვას ახორციელებს“, – განაცხადა გიგი უგულავამ. (ინტერპრესნიუსი)

## „ყაზტრანსგაზი“ საკრებულოდან წერილს ელოდება




კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ხელმძღვანელობა თბილისის საკრებულოში ოფიციალური წერილის მიღების შემდეგ მივა. კომპანიის პრესსამსახურის განცხადებით, „ჩვენთან ოფიციალური წერილი არ მოსულა. ჩვენ აბსოლუტურად მზად ვართ თანამშრომლობისთვის. როგორც კი მოგვივა ოფიციალური წერილი, შევთანხმდებით დროზე და ჩვენი ხელმძღვანელობა მივა. ჩვენ გვაქვს ჩვენი არგუმენტები“, – აცხადებენ კომპანიაში.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, გიორგი მუსხელიშვილმა განაცხადა, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მას ათობით ადამიანმა მიმართა და ბუნებრივი აირის გადასახადის გამო დახმარება სთხოვა.

გიორგი მუსხელიშვილის განცხადებით, თბილისელებს ბუნებრივი აირის გაორმაგებული გადასახადები მიუვიდათ. მათ ქვითრებში ასახულია თვე-ნახევრის, ან ორი თვის ხარჯი, რაც მოსახლეობის ფინანსურ პრობლემებს კიდევ უფრო ამძიმებს.

მუსხელიშვილმა აღნიშნა, რომ მას სურს სიტუაციაში გარკვევა და საკრებულოში „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლები და თბილისის საკრებულოს შესაბამისი კომისიები აღნიშნულ საკითხს განიხილავენ. გიორგი მუსხელიშვილი ითხოვს, „ყაზტრანსგაზის“ ხელმძღვანელობამ განმარტოს და წარმოადგინოს მტკიცებულება, რატომ მოხდა ბუნებრივი აირის გადასახადის გაორმაგება. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები



# დათა ახალაია „ნაციონალებს“ ისევ დაემუქრა?

„ალია“-„ქრონიკა“ არაერთხელ წერდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი ვანო მერაბიშვილს ხშირად წამოუთაქებდა ხოლმე, პანჩურების ამორტყმა კიდევ ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამას თითქმის მისი ყველა ყოფილი თანამშრომელი ადასტურებს. ერთადერთი, ვისაც ამას ვერ უბედავდა, ირაკლი ოქრუაშვილი გახლდათ. „სახალხო კრების“ წევრის, ლაშა ამირეჯიბის თქმით, 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევას სააკაშვილი პირდაპირ ეთერში უყურებდა, ის შავნაბადას ბაზაზე იმყოფებოდა. როცა რუსთაველზე სპეცრაზმელები ხალხს დაესივნენ, ორივე მხრიდან ვერ მოასწრეს ჩაკეტვა, სპეცრაზმელები დაიღალნენ და ამიტომ მომიტინგეები რიყისკენ დაიძრნენ, შემდეგ კი გაიფანტნენ:

„აი, სწორედ მაშინ გაიგდო წიხლქვეშ მიშამ ვანო მერაბიშვილი შავნაბადაზე, რატომ ვერ მოასწარი ამ ჩათლახების მოქცევა ალყაში და რატომ არ ჩაქოლეო? ამაზე ძალიან დიდი ამბები იყო, ცალკე ვანოს ურტყა წიხლები, ცალკე – გიგი უგულავას. სხვათა შორის, მუხროვანის კადრებშიც დავინახე, რომ ვანო ძალიან ნერვიულობდა. ჩემი ინფორმაციით, ის მანამდე მიშასთან იყო შესული, იქ მოუვიდათ სერიოზული კამათი, მიშამ ერთი-ორი წამოარტყა, ეს გამოვარდა და დაიწყო, ორი გვამი მინდა, დიდი პრემია იქნებაო. ამ დროს მერაბიშვილი მაგრად იყო „გატისკული“ არა მარტო სააკაშვილისგან, არამედ ზურაბ ადეიშვილისგანაც“.

როგორც „ალიას“ წყარო უმტკიცებს, ეს კადრები ერეკლე კოდუამ გადასცა ქართველ ძალოვნებს იმის სანაცვლოდ, რომ ის ხელშეუხებლობას შეინარჩუნებს. თუმცა, ლაშა ამირეჯიბის მტკიცებით, ფირი ინტერნეტსივრცეში დათა ახალაიამ ატვირთა:

„ეს ყველაფერი მოდის დათა ახალაიასგან, რადგან სააკაშვილმა მისი ძმა გაწირა. კიდევ არსებობს ფაქტები, რომლის მიხედვითაც ბაჩო ახალაიას ბრალი უფრო დაუმძიმდება. სააკაშვილ-ახალაიების ვაჭრობა არ შედგა, არც ახალმა ხელისუფლებამ მოინდომა ამათთან გარიგება და ჯოხი ბაჩოზე გადატყდა. როგორც მე ვიცი, დათამ შეუთვალა კიდეც მიშას, ჩემს ძმაზე ნუ გადატეხთ ჯოხს, თორემ ძალიან სერიოზულ რაღაცებს დაგიდებთო. ამ რაღაცებიდან ერთ-ერთი აღმოჩნდა ეს ფირი. მე ველოდები სხვა ფაქტების გამოჩენასაც. რაც შეეხება ერეკლე კოდუას, ის არ იმყოფება საქართველოში. ჩემი ინფორმაციით, იმ მომენტს იღებდა სამი კამერა – ერთი იყო ვანოსი, მეორე – დათა ახალაიასი, მესამე – ერეკლე კოდუასი. ამჯერად ეს ვიდეო გამოგდებულია ახალაიას მიერ“.

ურევია თუ არა ამ საქმეში ხელისუფლების ხელი? თუ დათა ახალაია სააკაშვილს დაემუქრა, მაშინ გამოდის, რომ ხელისუფლებას, უბრალოდ, „ტუზი დაეცა“. არადა, ცხადია, მიუნხენში ჩასული სააკაშვილი აშკარად დამფრთხალი ჩანდა, მას აღარც მერაბიშვილი აინტერესებს და აღარც ბაჩო ახალაია. ის უკვე ხვდება, ცივი ნიავი საიდან უბერავს და საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს, ანუ ხელების დაბანას აპირებს. სააკაშვილი ისეთივე მეთაურია ამ საქმეში, როგორც აფრასიძეების ჩახოცვის საქმეში, ის იძლეოდა ბრძანებებს ყველა მკვლელობაზე და ამას არც არასოდეს უარყოფდა, პირდაპირ აცხადებდა ტელევიზიით, მე გავეცი ბრძანებაო.

აქ ერთი საინტერესო საკითხი დგება დღის წესრიგში: რატომ ქმნიდნენ „ნაცბანდის“ მეთაურები ისეთ კომპრომატებს, რაც მათსავე საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოეყენებინათ? არსებობს რამდენიმე ვერსია: პირველი – მათ ეგონათ, რომ მუდმივად იქნებოდნენ ხელისუფლებაში და ფეხებზე ეკიდათ; მეორე – არ ენდობოდნენ ერთმანეთს და ყველა თავისთვის სასარგებლოდ ქმნიდა კომპრომატს. ერთიც დასაშვებია და მეორეც. 2007-დან 2009 წლის ჩათვლით სააკაშვილ-მერაბიშვილსა და ადეიშვილ-ახალაიებს შორის დაპირისპირება არ იყო, ისინი „რუსეთის აგენტებს“ ერთობლივი ძალებით ებრძოდნენ. შემდეგში კი ჯერ ახალაიები დაუპირისპირდნენ ზურაბ ადეიშვილს, ხოლო მოგვიანებით – ამ უკანასკნელს მერაბიშვილის მიმართაც გაუჩნდა პრეტენზიები:

„კი, მათ შორის მაშინ განხეთქილება არ იყო, მერე დაიწყო დაპირისპირება. ახალაიები მეტად ახლობლები იყვნენ ვანოსი და მიშასი, ვიდრე კოდუას ჯგუფი. პირველად მაგათ კოდუა გასწიეს, კაცი სოდ-ის უფროსი იყო და ამ საქმეს ჩამოაშორეს. მანამდე არაერთხელ ჰქონდათ შეტაკება კოდუასა და ახალაიებს. დღეს სააკაშვილს რასაც თავისი პატრონები ეუბნებიან, იმას აკეთებს, ამიტომ ჩავიდა ის მიუნხენში. მათ უნდათ, ეს ყავლგასული ადამიანი კიდევ რაღაცად წარმოაჩინონ და ისევ ზედაპირზე აქტივტივონ. ევროპაშიც და ამერიკაშიც დარჩა რამდენიმე კაცი, რომელიც მიშას ჯერ კიდევ მხარს უჭერს“. – ამბობს ამირეჯიბი.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ კი გაავრცელა ინფორმაცია, რომ მუხროვანის ვიდეოზე გამოძიება დაიწყო, მაგრამ ხელისუფლებას ეყოფა კი პოლიტიკური ნება, საქმე ბოლომდე მიიყვანოს? თუ გამოძიება ისე წავიდა უსასრულოდ, როგორც ლაფანყურის საქმე, საზოგადოების ემოცია და აგრესია ხელისუფლების წინააღმდეგ შეტრიალდება. რატომ რჩება კვლავ სამართლიანობის აღდგენა ყბადაღებულ თემად? ლაშა ამირეჯიბის თქმით, მაგალითად, არსებობს ასეთი ადამიანი – სამირ ხიალოვი (მასთან ამირეჯიბს კონფლიქტი ჰქონდა ცოტა ხნის წინ და ამის გამო სასამართლომ 100 ლარით დააჯარიმა), სუს-ის თანამშრომელი, ვაჟა ლელუაშვილის მარჯვენა ხელი, რომელმაც ვაჰაბისტები შემოიყვანა პანკისში ლაფანყურის სპეცოპერაციამდე ორი კვირით ადრე. ხიალოვი არის ძალიან სერიოზული ინფორმაციის მატარებელი ლაფანყურის ისტორიასთან დაკავშირებით, მაგრამ პროკურატურას დღემდე არ დაუკითხავს. ამ დროს კეთდება განცხადებები, რომ ლაფანყურის საქმის გამოძიება დასრულებულია. „ალიასთან“ საუბარში ლაშა ამირეჯიბი ამტკიცებს, რომ ამ ყველაფერს ხელს უშლის დიდი პრობლემები, რაც დღეს არსებობს კოალიციაში:

„კოალიციაში ყველა საკუთარ თავზე ზრუნავს. სწორედ ამიტომაა, რომ ტელევიზიით გამოსვლისას „ნაციონალები“ ჯიბეში ისვამენ „ოცნების“ წარმომადგენლებს. კოალიციამ იმასაც კი ვერ მიაღწია, რომ ჰყავდეს მოლაპარაკე ადამიანები. ეს არც მიკვირს, „ნაცებს“ 9 წელი ლაყბობის მეტი არაფერი უკეთებიათ.

კოალიციაში ერთიანი სული არ არსებობს და ირაკლი ღარიბაშვილის ერთგული ხალხი ძალიან ცოტაა. სამწუხაროდ, დღეს ირაკლის პოლიტიკური თანამოაზრეები არ ჰყავს, კალაძისა და ივანიშვილის გარდა. მე პატივს ვცემ ამ ადამიანს, ძალიან კარგი ქართველია, მაგრამ ხელისუფლებაში არ ჰყავს დასაყრდენი, ამაზე უნდა იფიქროს“.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას... უკვე არაერთი ექსპერტი თუ პოლიტიკოსი ამბობს, რომ კიდევ გამოქვეყნდება ისეთი კომპრომატები, რაც შოკში ჩააგდებს ქართველ საზოგადოებას.

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

## საქართველოს ელჩისგან 280 ათას ლარს ითხოვენ

„თბილისის გოლფ კლუბმა“ და მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ესპანეთში საქართველოს ელჩმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა აღსრულების ეროვნული ბიუროსგან დავალიანების დაფარვაზე გაფრთხილების წერილი მიიღო. ძველი ხელისუფლების დროს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა და ამჟამად საქართველოს ელჩმა ესპანეთში შვიდი დღის ვადაში „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სასარგებლოდ 280 ათასი ლარის დავალიანება უნდა დაფაროს, საიდანაც 233 ათასი ლარი ძირია, ხოლო დანარჩენი 46 ათასი – საპროცენტო სარგებელი. გოლფ კლუბმა და პოლოლიკაშვილმა საარბიტრაჟო მოსაკრებლის სახით, დაახლოებით, 8 ათასი ლარიც უნდა გადაიხადონ. გარდა ამისა, „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი ხარჯიც, 7 ათასი ლარის ოდენობით, უნდა აუნაზღაურონ. კლუბი უკვე დარეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, რის გამოც ქონების განკარგვის უფლება შეეზღუდა. თუ დავალიანებას არ გადაიხდიან. ქონებას იძულებით აუქციონზე გაიტანენ.

პოლოლიკაშვილმა ესპანელ ინვესტორთან, პედრო პასტორთან ერთად ამიერკავკასიაში პირველი 18-ორმოიანი პროფესიული გოლფ-კლუბი და უდიდესი რეკრეაციული კომპლექსის მშენებლობა კრწანისში 2010 წელს წამოიწყო. 330 ჰექტარ ტერიტორიაზე გოლფის სათამაშო მოედნის გარდა, საცურაო აუზის, სილამაზისა და გამაჯანსაღებელი ცენტრების, სავარჯიშო დარბაზების, ჩოგბურთის მოედნებისა და მაღალი კლასის სასტუმრო და საკონფერენციო დარბაზების მშენებლობაც იგეგმებოდა. ინვესტორის გეგმებში კლუბის ირგვლივ პრემიუმ-კლასის საცხოვრებელი ზონის განაშენიანებაც შედიოდა. დახურულ, ელიტურ გოლფ-კლუბში საწევროს სავარაუდო ღირებულება რამდენიმე ათეულ ათას დოლარს აღწევდა და სამუდამოდ გაეცემოდა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის პრეზენტაციაზე ესპანელ ინვესტორთან ერთად საძირკველში სიმბოლურად კაფსულა მაშინდელმა თბილისის მერმა გიგი უგულავამაც ჩადო. კომპლექსის მშენებლობა 2013 წელს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სამშენებლო სამუშაოები დიდი ხანია უკვე, შეჩერებულია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გაყალბებულ დოკუმენტებს მიხედეთ



საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი გაყალბებული დოკუმენტების მფლობელებს ამნისტიის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული კანონით სარგებლობისკენ მოუწოდებს.

„მივმართავ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებსაც 2009 წლის 1-ელ იანვრამდე შეიძლება ჰქონდათ ჩადენილი ისეთი დოკუმენტების გაყალბება, როგორიცაა პირადობის მოწმობა, საბჭოთა პასპორტი, დაბადების მოწმობა, ქორწინების/განქორწინების მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა, ნებისმიერი სამოქალაქო აქტის ჩანაწერი და ისეთი ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება, რომელსაც გასცემს სამოქალაქო რეესტრი, ასევე იმ მოქალაქეებს, ვინც 2009 წლის 1-ელ იანვრამდე ჩაიდინა დევნილის მოწმობის გაყალბება, ამ მოქალაქეებისთვის პარლამენტმა ახლახან გამოაცხადა ფართომასშტაბიანი ამნისტია. ის მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუკი პირი ნებაყოფლობით განაცხადებს, რომ ჩაიდინა სიყალბე“, – განაცხადა წულუკიანმა.

„მოვუწოდებ ყველა მოქალაქეს, რაც შეიძლება მალე გამოცხადდეს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის დაწესებულებებში, რათა ისარგებლონ ამ კანონით, ეს მათ საშუალებას მისცემს, თავიდან აიცილონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და მეორე მხრივ, მოაწესრიგონ საბუთები, – აღნიშნა მინისტრმა და დასძინა: „ვინც ნებაყოფლობით არ გამოცხადდება და სამართალდამცავი ორგანოები თავისით აღმოაჩენენ, რომ არის გაყალბების ფაქტი, ამგვარ შემთხვევებზე ამნისტია არ ვრცელდება“, – განაცხადა წულუკიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## სააკაშვილ-ივანიშვილის კოდექსი შეგვრჩა?



„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ვეფხვაძის განცხადებით, „თუკი „საარჩევნო კოდექსი“ არ შეიცვლება, თამამად შეიძლება მას სააკაშვილ-ივანიშვილის კოდექსი ეწოდოს“.

„თუკი აქამდე იყო სააკაშვილის კოდექსი, ახლა იქნება სააკაშვილ-ივანიშვილის კოდექსი. ალბათ, იკითხავთ, რა შუაშია ივანიშვილი? სწორედ ივანიშვილი დაჰპირდა ევროპელებს, „გაგაკვირვებთ დემოკრატიითო“, ჩვენ კიდევ დაგვპირდა, „ამ მაჟორიტარულ სისტემას საერთოდ მოვსპობ და გავაუქმებო“. შეასრულოს ახლა თავისი სიტყვა და რჩევა მისცეს ირაკლი ღარიბაშვილს, შეცვალოს მოქმედი კოდექსი“, – განაცხადა ვეფხვაძემ.

ადგილობრივი არჩევნებისთვის არასაპარლამენტო ოპოზიცია საარჩევნო სისტემის მიმართულებით მმართველ გუნდს 50%-იან ბარიერს, ხოლო საკრებულოებთან მიმართებით, მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებს და პროპორციულ წარმომადგენლობას სთავაზობს. მათი შეთავაზებები ასევე ეხება საარჩევნო სიებს, ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს, წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხებს, დავების თემას.

ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში ამ ეტაპზე მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჭრილში განხორციელდება. სხვა ძირეული ცვლილებების შეტანა კი არჩევნებამდე დარჩენილ დროში არ იგეგმება. ძიძიგურის ცნობით, ადგილობრივი არჩევნებისთვის ცვლილებები საარჩევნო სისტემის მიმართულებით შევა – კერძოდ, რჩება ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქები, თუმცა საკრებულოებში პროპორციული წარმომადგენლობის თანაფარდობა გაიზრდება. პროპორციული საარჩევნო ბარიერი არსებული 5%-დან 4%-მდე ჩამოვა.

რაც შეეხება მერებისა და გამგებლების არჩევის ბარიერს, ამასთან დაკავშირებით მმართველი გუნდი ცნობილ პოზიციაზე რჩება, რომლის მიხედვით, მერები – 40%-იანი ბარიერით, ხოლო გამგებლები 33%-იანი ბარიერით აირჩევიან. (ინტერპრესნიუსი)




# ექსკლუზივი



# რეჟისორი გიორგი შენგელაია სიკვდილით დასჯის აღდგენას ითხოვს

**მას შემდეგ, რაც კინორეჟისორმა გიორგი შენგელაიამ ვანო მერაბიშვილის მიერ დადგმული „კინო“ ნახა, კატეგორიულად ითხოვს, ამ ყველაფრის შემოქმედი, მიხეილ სააკაშვილი ამერიკიდან კიწწისკვრით ჩამოვიყვანოთ და სამაგალითოდ დავსაჯოთ. ბატონი გიორგი „ალიასთან“ სააკაშვილის დასჯის მეთოდებზეც საუბრობს.**

**— ბატონო გიორგი, მე მგონი, მერაბიშვილმა ფილმების გადაღებაში თქვენც კი „მოგიჯოკრათ“.**

– მე სხვანაირად ვფიქრობ... მე ვანო მერაბიშვილს ძალიან კარგად ვიცნობ. როცა ეგენი „მოქალაქეთა კავშირს“ აყალიბებდნენ, როცა „ნაცმოძრაობად“ გადაიქცნენ, მაშინ ჩემზე რაღაცა თქვა და მე ვუპასუხე: მაგას ჩემზე რა ალაპარაკებს, „ბანტიკივით“ აქვს ტუჩები-მეთქი. ვანო არ არის არავითარი პიროვნება, ჩემი რეჟისორული გამოცდილებით ვამტკიცებ, რომ ფრაზა გვამების შესახებ, არის სააკაშვილის ფრაზა: „მჭირდება ორი გვამი!“ მერაბიშვილი არის თუთიყუში და მისი ნათქვამი გაიმეორა. აი, რა არის პრობლემა... თევზი ყარს თავიდან. ეგ იყო კლასიკური სისტემის ჭანჭიკი, მთავარი სატანა სააკაშვილია და კიდევ სამი-ოთხი სატანა დაფრინავს მაგის გარშემო, მაგისი „პადელნიკები“. ჩვენ ეს ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ ფირი საინტერესოა იმით, რომ, ჯერ ერთი, დოკუმენტია და მეორეც – მტკიცდება სააკაშვილის დანაშაული. ვიმეორებ: ეს მისი ფრაზაა.

**— სამწუხაროდ, ამ ფრაზის შემოქმედი თავისუფლად დადის.**

– სააკაშვილი არის ყველა ცოდვის კვინტესენცია. საეკლესიო თვალსაზრისით არსებობს 7 ცოდვა, რომ ჩამოვყვეთ, პირველი ცოდვაა პატივმოყვარეობა, მეორე – მრუშობა, მესამე – ღორობა, ბევრის ჭამა და ასე შემდეგ. აქედან ყველა მიესადაგება სააკაშვილს. როცა ბოროტება თავს ერთად იყრის, ეს ხალხისთვის კარგია, ყველაფერი კარგად ჩანს, მაგრამ ამ შემთხვევაში სახელმწიფომ რა უნდა გააკეთოს? მთავრობამ უნდა დაანებოს თავი ბავშვური დემოკრატიის თამაშს. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ხელისუფლებაში ვიღაცებს, გვარების დასახელებას არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ მაგათ, უსუფაშვილის მეთაურობით, რა ჰგონიათ, იცი? უკვე წარმოიდგინეს, რომ დემოკრატიაში არიან. ჩვენ სასამართლოში ვერ ჩავერევით, ჩვენ უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევთ... კაი, რას ბოდავენ, კაცო? საქმე უნდა გააკეთონ, ძმაო, გაიხსენონ დავით აღმაშენებელი, ხომ ძალიან უყვართ? ლიპარიტ ბაღვაშმა რომ გაუწყალა გული, ჩავიდა ერთხელ, დაელაპარაკა, ჩავიდა მეორედ და მესამეჯერ წაიყვანა ჯარი... ეს შენი ლიპარიტი ჩამოჰკიდა საკუთარ ეზოში ხეზე. აი, ასე უნდა მოიქცეს ჩვენი მთავრობა, მაგრამ ამისი ნიშნები არ ჩანს. ამაზე აღარ მინდა, რომ გავაგრძელო ლაპარაკი – ვინ, სად, როგორ, სად არიან? გამოიკეტნენ თავიანთ სახლებში, კაბინეტებში და ჰგონიათ, უკვე ევროპაში არიან. სად არის ჯერ ევროპა, კაცო?! კი, შეიძლება მომავალში მიგვიღონ, აღგვზარდონ და ჭკუაზე დაგვაყენონ, მაგრამ იქამდე ძალიან გრძელი გზაა.

**— მიხეილ სააკაშვილმა მიუნხენიდან გააკეთა კომენტარი, ჩვენს ჟურნალისტებს უთხრა, თავი დამანებეთ, პოლიტიკაში აღარ ვერევიო. ეს ვირეშმაკობაა თუ გონს მოვიდა?**

– არა, ეს არის ვირეშმაკობა, ეგ ბედნიერი იქნება, თუ კიდევ მოვა ხელისუფლებაში, თუ კიდევ „იგულავებს“ პატარა გოგოებში, ბათუმში დადგამს ყალბ „ხანუმებს“, ააშენებს რაღაც უაზრობებს. ეს აღარ იქნება, ხალხმა მაგას ერთხელ და სამუდამოდ უთხრა: წადი, გაეთრიე აქედან! ხალხი ღელავს, მაგრამ მთავრობა ვერ ასრულებს ხალხის ნებას. იცი, დავით აღმაშენებელმა კიდევ რა გააკეთა? როდესაც თურქსელჩუკები ანისში შევიდნენ, სომხეთის დედაქალაქში, მაშინ ეს ტერიტორია დავითის პასუხისმგებლობის ქვეშ იყო. თურქებმა 5 ათასი ქრისტიანი სომეხი შეიყვანეს ეკლესიაში და თავები დააჭრეს. ეს ჯიგარი დავითი ჩავიდა, ჩაიყვანა თავისი ჯარი, მეჩეთში 5 ათასი თურქ-სელჩუკი შეიყვანა და ამანაც დააჭრა თავები. აი, კაცი, ძმაო, აი, პოლიტიკოსი. ახლა არ დამიწყონ ამათ, მაშინ დემოკრატია არ იყოო. დემოკრატია მანამდეც იყო ევროპაში. დავითი იყო უგანათლებულესი კაცი, მაგრამ როცა საქმე მოითხოვს, პრეზუმფციები და რაღაცები უნდა დაარღვიო.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას მხოლოდ დემოკრატიის სურვილი აჩერებს?**

– ეს არის ინფანტილობა... პირდაპირ გეტყვი, უწიგნურებიც არიან. მე რეჟისორი ვარ და ათასნაირი ფანტაზია მაქვს... ჩემი აზრით, ვანო მერაბიშვილი ისეთი ნაძირალაა, მაგას რომ მიარჭობენ 20 წელს, მაშინ დაფქვავს, ვის უნდოდა სინამდვილეში გვამები. მე მაქვს ერთი საინტერესო იდეა: სააკაშვილს რომ დაიჭერენ, მერე პარლამენტმა ერთი თვით სიკვდილით დასჯის კანონი უნდა დაუშვას. მაგ კაცს თავის ადგილს მივუჩენთ სადმე ხეზე და ისევ გააუქმონ, რომ ევროკავშირი არ გავაბრაზოთ.

**— მეეჭვება, რომ ჩვენმა პარლამენტმა ეგ გააკეთოს.**

– ეს იდეაა... ამ ტელევიზიებისაც მიკვირს, სულ ერთი და იგივე ხალხს ატრიალებენ. პარასკევს დამირეკეს „იმედიდან“, ინგა გრიგოლიას გადაცემაში გიწვევთო. მე ვუთხარი, მანდ ვერ მოვალ-მეთქი. სახლიდან ჩაგრთავთო. გამოვიპრანჭე, ჰალსტუხი გავიკეთე და არ მოვიდნენ, მომატყუეს. გავიხედე, ჩართეს გიგა ბოკერია, ვიღაც მილიციონერი და ვიღაც ადვოკატი. ხალხს მობეზრდა ერთი მხრიდან სესიაშვილები, მეორე მხრიდან კიდევ ბოკერიები და თარგამაძეები. მე კიდევ მაქვს ერთი იდეა... ხომ იცი, იტალიაში მუსოლინის რა უყვეს? როცა მუსოლინი დახვრიტეს, ნიჭიერმა იტალიელებმა მოითხოვეს, ახლა მკვდარი მაინც მოგვეცითო. გაიტანეს მილანის ცენტრალურ მოედანზე და თავის ბოზთან ერთად ხეზე ჩამოკიდეს. მაშინ დედაჩემი იყო იტალიაში, ფოტოებიც ჩამოიტანა და ეს ყველაფერი ბავშვობიდან მახსოვს. მთელი იტალია დადგა რიგში, როგორც რუსები დადიან ლენინის მავზოლეუმში და აფურთხებდნენ. იტალიელმა ხალხმა მოითხოვა, ეს კაცი ცოცხალი არ დაგვანებეთ, ახლა მაინც შეგვაფურთხებინეთო. მე სააკაშვილთან დაკავშირებით სწორედ ასეთ ფინალს ვხედავ. ახლა დადის აქეთ-იქით და იძახის, პოლიტიკაში აღარ ვერევიო... პოლიტიკაში კი არ ჩაერევა, მაგას ხეზე ჩამოკიდებენ, დამიჯერე! ჩვენ ნიჭიერი ხალხი ვართ და ნიჭიერად უნდა დავამთავროთ ეს ამბავი. ამჟამად ეს საქმე მიდის უნიჭოდ, ყოფილი მილიციონერები, ვიღაცა ონიანები „ბლატაობენ“, გამოდიან, ადვოკატობენ, სადა ვბანაობთ, რა ხდება?! თუნდაც მუხროვანის კადრები ავიღოთ, ვინ არიან, რა ხალხი ტრიალებდა იქ? წესით, მერაბიშვილიც არ უნდა ყოფილიყო, სამხედროებთან მაგას რა უნდოდა? ეს არის ბანდა, ეგენი ჯერ ცალ-ცალკე უნდა გაასამართლო და მერე მიუყენო ჯგუფური მუხლი. ძმაო, კანონი შენს ხელშია, ფაქტები არის, რას ელოდები? ის ვიდეოები რომ მიწვეს და მოწვეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მე წინააღმდეგი ვიყავი. არ შეიძლება ლომჯარიებისა და გიგაურების დონეზე ყველა საქმის გადაწყვეტა, ეგენი ვინ არიან საერთოდ? დღეს ჩვენს წინაშე დგას ერთადერთი ამოცანა: რაც შეიძლება მალე უნდა მოვსპოთ „ნაციონალური მოძრაობა“. რა თქმა უნდა, ყველას ვერ ჩამოვკიდებთ ხეზე, მაგრამ ერთი მაინც უნდა ჩამოვკიდოთ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თეა წულუკიანი: „მუხროვანის კადრები, რომლებიც საზოგადოებამ იხილა, უაღრესად შემაშფოთებელია“




იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი მუხროვანის კადრებს ეხმაურება და აცხადებს: „როგორ მიმდინარეობს გამოძიება, არ ვიცი, რადგან, მე უკვე კარგა ხანია აღარ ვსარგებლობ საპროკურორო უფლებამოსილებით. კადრები, რომელიც საზოგადოებამ იხილა, უაღრესად შემაშფოთებელია და ახლა პროკურატურამ უნდა შეამოწმოს და დაადგინოს, არის თუ არა მიზანშედეგობრივი კავშირი მერაბიშვილის მოთხოვნასთან დაკავშირებით და იმ ჩაცხრილულ ადამიანებს შორის, რომლის შესახებაც საზოგადოებამ იცის“, – განაცხადა წულუკიანმა.

მისი განმარტებით, კრიალაშვილის საქმე საჭიროებს ზედმიწევნით გამოკვლევას, ფაქტების თავიდან შესწავლას.

„მთავარია, დადგინდეს მინისტრის ამგვარ უკანონო ინსტრუქციას მოჰყვა თუ არა ის შედეგი, რომელიც ადამიანის ამგვარი საზარელი მეთოდით მკვლელობით დამთავრდა, ეს, პირველ რიგში, არის ოჯახის უფლება. პირველ რიგში, ოჯახის უფლებაა, იცოდეს სიმართლე, ესაა საზოგადოების უფლებაც“, – დასძინა წულუკიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილის ვიზიტი პროდუქტიული იყოო



საქართველოს ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტს აფასებს.

„პირველი, რაც მინდა აღვნიშნო – საქართველოს ხელისუფლებას აქვს პოლიტიკური პრეზენტაციის ახალი სტილი და ჩამოყალიბებული ხედვა. ბატონმა პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ გააჟღერა ახალი მთავრობისა და საქართველოს მოსახლეობის ურყევი სურვილი, ავაშენოთ მშვიდობიან და კონსტრუქციულ პოლიტიკაზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფო, რომლის ძირითადი პრიორიტეტი შიდა ეკონომიკური განვითარება, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში თანმიმდევრული ინტეგრაცია და მეზობლებთან საქმიანი ურთიერთობის განმტკიცებაა.

„ნაციონალური მოძრაობის“ აგრესიულ, პოპულიზმზე ორიენტირებულ, დემაგოგიური განცხადებების ნაცვლად, რომელმაც ქვეყნის კონფლიქტური ტერიტორიების დროებითი დაკარგვა, რაც ყველაზე მტკივნეულია, ადგილობრივი მოსახლეობის კიდევ უფრო შეზღუდვა და ჩანასახში არსებული სახალხო დიპლომატიის მოშლა გამოიწვია, ჩვენ ავირჩიეთ თანმიმდევრული დიალოგის რეჟიმი: ფაქტია, რომ რუსეთთან კონტაქტის ახალ ეტაპზე გადასვლის პროცესში ვიმყოფებით და მიუხედავად ჩვენი შიდაპოლიტიკური ურთულესი ერთი წლისა, ამ მიმართულებით რაღაც მცირედი მაინც გაკეთდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა, ახალი მთავრობის პოზიცია მყარად დააფიქსირა – ჩვენ უარს ვამბობთ აგრესიულ რიტორიკაზე, პოლიტიკურ დემარშებზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მეზობელთან ასეთი მოდგომა დააზიანებს არა მარტო ჩვენს ინტერესებს, არამედ მთლიანობაში სიტუაციას რეგიონში და იწვევს შეშფოთებას საერთაშორისო არენაზეც. ჩვენი განწყობაა – დიალოგი. ჩვენი მოლოდინია, რომ რუსეთის მხრიდანაც განწყობა იქნება ადეკვატური. არსებული მდგომარეობა ქვეყნებს შორის არც მათთვის არის კომფორტული და მისაღები. ჩვენი ურთიერთობები ჩიხიდან მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით გამოვა და ჩვენ ამის მზაობას ვაფიქსირებთ“. – აცხადებს კალაძე. (ინტერპრესნიუსი)



# ალიაქოთი



# ფრანგული სასამართლოს თავზე „ნაციონალური“ დროშა ფრიალებს

მხატვრული ფილმი „მამაცი გული“ ხომ გაქვთ ნანახი? სწორედ იქ არის, მელ გიბსონის გმირი ბოლო ხმაზე რომ ყვირის „ფრიიდომ!“... ვერ გეტყვით, რამდენად მამაცი გული აქვს კეზერაშვილს (შემიძლია, ვივარაუდო 2008 წლის ომის დროს მისი მოქმედების გათვალისწინებით), მაგრამ მას შემდეგ, რაც „კეზერა“ ფრანგულმა სასამართლომ გირაოთი გაუშვა, მან სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე „იყვირა“ – „თავისუფლება“! მისი განთავისუფლება ყველაზე მეტად თამარ ჩერგოლეიშვილს გაუხარდა და იმიტომ გაუხარდა, რომ თავისუფალი კეზერაშვილი ბოკერიას ცოლის გამოცემას ისევ დააფინანსებს და პლუს ამას, თავად თამარქალს თვეში ხელფასის სახით 11 ათას ლარს ისევ გადაუხდის. ჩვენი ხელისუფლების უნიათობის შესახებ კი ახლა საქართველოს გარდა საფრანგეთშიც იციან და თუ ასე გაგრძელდა, ეჭვი მაქვს, სხვა დაკავებული მაღალჩინოსნებიც მალე იყვირებენ „ფრიიდომ“-ს, სოციალური გვერდებიც აქვთ და ხმაც.

კეზერაშვილის ბედს დანატრებული ვანო მერაბიშვილი გუშინ სასამართლოს წინაშე ყინჩად გამოიყურებოდა. არადა, პროცესზე ერთ-ერთი მთავარი ბრალმდებელი, ნინო ბურჯანაძე დაკითხეს. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ სულ დეტალებში გაიხსენა, რა და როგორ მოხდა, მერე კი ისიც დაიბარა, აქ მოსვლა ისევ მომიწევს, ოღონდ სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემადო და მავანმა ჩაიქირქილა, ეგებ იმიტომ მოგიხდეს მოსვლა, შენს წინააღმდეგაც მისცეს ვინმემ ჩვენებაო. სხვათა შორის, ვანომ პროცესზე გაიხსენა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ბადრი ბიწაძის ინიციატივა იყო მიტინგის იმ სახით დაშლა, რა სახითაც დავშალეთ და არა მგონია, ბურჯანაძემ უარყოსო. ქალბატონმა ნინომ მართლაც არ უარყო, უფრო ზუსტად კი კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

მერე იყო, პროცესზე შალვა ჯანაშვილი რომ მივიდა. მერაბიშვილის მოადგილეს ჩვენება უნდა მიეცა და ანეკდოტის მოყოლა არ დაიწყო: „26 მაისს, მიტინგის დაშლის წინ, ვანომ პირადად მითხრა, მომიტინგეები დაშალეთ, მაგრამ ისე, რომ არავინ დაშავდეს და საერთოდ, ეგენი საქართველოს მოქალაქეები არიან და მოეფერეთ, გულში ჩაიხუტეთ, არაფერი აწყენინოთო“...

ამ ანეკდოტზე მე ბევრი ვიცინე, მაგრამ სასამართლო დარბაზში არავის გასცინებია. ვერ გეტყვით, იუმორის გრძნობა არა აქვთ, თუ ეს ანეკდოტი ჯანაშვილის ფსიქიკურ აშლილობას მიაწერეს, მაგრამ ფაქტია, არავის გასცინებია.

მერე იყო, ბურჯანაძის გამოსვლა გიგა ბოკერიამ რომ შეაფასა და რომ თქვა, ეს პოლიტიკური სიბრიყვით სავსე ლექცია და თავხედური ტყუილების კასკადი იყოო. მე ამათი (ცუდი არაფერი წამოგცდეთ) გამკვირვებია, ბოკერია და ბურჯანაძე ერთად რომ იყვნენ, მაშინ არ იყვნენ პოლიტიკურად ბრიყვები და თავხედურად მატყუარები? რაღა მაშინ ხდება ყველა მატყუარა, მკვლელი, თავხედი და ათასი უბედურება კიდევ, როცა ერთი გუნდიდან მეორეში მიდის... თან ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თუ რაიმე სასწაულით ისევ ერთ ნავში მოხვდებიან, ისევე დაივიწყებენ ამ ყველაფერს, როგორც სოზარ სუბარმა დაივიწყა ის, თუ როგორ უწოდა მას დავით უსუფაშვილმა ნაძირალა...

გუშინ გია ბარამიძემ საკუთარი პარტიის ოფისში გამართა ბრიფინგი. თავიდან რომელიმე პრესკლუბში სურდა, მაგრამ გადაიფიქრა. რამდენჯერაც სხვაგან წავიდა, იმდენჯერ დაუძახეს, არიქა, სოსო მოდისო და ბარამიძეც დამფრთხალი გარბოდა. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, საკუთარი პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე გიამ განაცხადა, ევროპაში ღარიბაშვილის გამოსვლა კაპიტულაცია იყო და ეს უნდა ვაღიაროთო. როგორც ჩანს, ბარამიძემ არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა კაპიტულაცია და ავუხსნათ. კაპიტულაცია ეს არის ის მდგომარეობა, როცა შენი ქვეყნის მთავარსარდალი ომიდან დაოთხილი გარბის, როცა ჯარისკაცებს უპატრონოდ ტოვებენ, როცა ხელისუფლებას არაფრის „აკო მინაშვილი“ არ აქვს და მოსახლეობას მოუწოდებს, თავი რითაც გენებოთ, იმით დაიცავითო. მოკლედ, გია, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს გადახედე და მიხვდები, რას ვამბობ.

თეა წულუკიანი გაოგნდა და ჩვენც გაგვაოგნა. იუსტიციის სახლის ამშენებელმა იტალიურმა მხარემ ოფიციალური წერილი გამოაგზავნა, რომ სანაპიროზე მდებარე იუსტიციის სახლის მდგრადობასა და შიგნით მუშაობის შემთხვევაში ადამიანთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას ვერ იღებს. როგორც ჩვენ შევიტყვეთ, იტალიელებს ხელები გაუშლიათ, რა გარანტიებს ითხოვთ, ეგ იუსტიციის სახლი წინა ხელისუფლებამ დაგვიკვეთა და მაშინ ასე გვითხრეს, მთავარია, დროზე აშენდეს, მდგრადობა და უსაფრთხოება არ გვაინტერესებს, ჩვენ მანდ მაინც იშვიათად მივალთო. ჰოდა, უსაფრთხოებაზე ახლა ბოდიში და ის პარლამენტარი რომ არის, ვაშაძე, სულ იმას რომ ამბობს, იუსტიციის სახლების მშენებლობას მე ვკურირებდი და ვაკონტროლებდიო, ეგ ხომ არ ჩავაყოლოთ ზურაბივით, ეგებ ეშველოს რამე.

თბილისის საკრებულოს უფროსი რომ არის, შიხიაშვილი, ხომ იცით? ახლა ამერიკაშია, იქაური გამოცდილების გასაზიარებლად და ოფიციალური შეხვედრების გასამართავად, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის მომავალ საკრებულოშიც აპირებს ყოფნას. რა გამოდის? „ნაციონალები“ იყვნენ, შიხიაშვილი მმართველი გუნდის წარმომადგენელი გახლდათ. ახლა მოწინავე პოზიციაზე „ქართული ოცნებაა“ და შიხიაშვილი ისევ მმართველ გუნდშია. თქვენ კი არა, ეგ ამბავი მეც მიკვირსო, ზაზა გაბუნიას უთქვამს...

ხან იქიდან უტრიალა დავით ნარმანიამ მიუსაფართა ქალაქს, ხან აქედან და მიხვდა, რომ არ ულირს შუა ქალაქში ამ კარვების არსებობა. შედეგად, თბილისის მერობის მომავალმა კანდიდატმა განაცხადა, ახალი თავშესაფარი დიდი ლილოს ტერიტორიაზე აშენდება, კაპიტალური იქნება და იქ ყველა მიუსაფარი დაეტევაო. შედეგად, ეს კარვების ქალაქიც მალე დაიშლება და დიდი ლილოს ტერიტორიაზე გადავა. ეჭვი გვაქვს, ამას თავშესაფარში მყოფი ადამიანების პროტესტი მოჰყვება და ისინი თურმე აქციის გამართვასაც აპირებენ. როგორი საქმეა, ისინი ღამეებს თბილისის ელიტურ უბნებში ათევდნენ და ჯერ გარეუბანში გადაასახლეს, ახლა კიდევ საერთოდ ქალაქიდან გაჰყავთ. საქართველო რომ უპრეცედენტო შემთხვევების ქვეყანაა, კიდევ ერთხელ დადასტურდება – უსახლკაროების გადასახლება აქამდე გაგიგიათ?

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ესპანეთის სამეფოში ზურაბ პოლოლიკაშვილს საქართველოდან ედავებიან. პოლოლიკაშვილი „თბილისი გოლფკლუბის“ ერ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ და თუ ამ კომპანიის დავალიანებას უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში არ გადაიხდის, ერთ-ერთი ბანკი ელჩს ემუქრება, ცულს მოვიტან ცუნცულასო... თანხა 280 ათასი ლარია და ამის მიუხედავად, გვეეჭვება პოლოლიკაშვილი ასე მარტივად შეშინდეს. კაცი მთელი შეგნებული ცხოვრება „ნაციონალების“ სამსახურში იყო და ახლა მაინც ელჩია და ერთი ბანკი რას მოერევა? მაგ ბანკმა, როგორც ჩანს, ჯადოსნური სიტყვა „კოჰაბიტაცია“ არ იცის...

დასასრულ, ირაკლი წერეთელმა შიმშილობა გამოაცხადა და მის შეწყვეტას მანამ არ აპირებს, სანამ ხელისუფლება ორ კანონპროექტს არ მიიღებს. ერთი დოკუმენტით ხუდონჰესის მშენებლობა უნდა აიკრძალოს, მეორეთი კი საერთოდ გიგანტური ჰესების მშენებლობა... ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე ისიც მახსოვს, თავის დროზე წერეთელმა რომ თქვა, პერიოდულად შიმშილობას იმიტომ ვაცხადებ, წონაში რომ დავიკლო, თორემ დიეტის თავი სად მაქვსო. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ხელისუფლება ხუდონზე უარის თქმას არ აპირებს, წერეთელს გვარიანად დაკლების პერსპექტივა აქვს.

ლევან ღვინიაშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციების მონაწილე გავხდებით?



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბრიუსელში მაღალი დონის შეხვედრებზე საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების განვითარებაზე ისაუბრებს. ალასანიას განცხადებით, მოლაპარაკებების მთავარი თემები ასევე იქნება ევროპულ ოპერაციებში საქართველოს სამომავლო მონაწილეობა და ნატო-ს სამიტი.

„პოსტ „ისაფის“ ოპერაციაში საქართველო იქნება ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი მონაწილე, მაგრამ ასევე ჩვენ ვიხილავთ შესაძლებლობებს, გავხდეთ ევროკავშირის მიერ დაწყებული სამშვიდობო ოპერაციების მონაწილე. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში არა მხოლოდ ნატო-ს გენერალურ მდივანს, არამედ ევროკავშირის ლიდერებს შეხვდება. დეკემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს აძლევს შესაძლებლობას, გახდეს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემის ნაწილი. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვექნება საუბრები ევროპულ ოპერაციებში საქართველოს სამომავლო მონაწილეობაზე. მთლიანობაში საქართველოს წინსვლა და წარმატება ყველა პარტნიორის მიერ შეფასებულია, როგორც ძალიან მაღალი და არსებობს ნდობა საქართველოსადმი, როგორც ქვეყნისადმი, რომლის სამხედრო შესაძლებლობები უზრუნველყოფს ევროპისა და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას“, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ. (ინტერპრესნიუსი)

## ინფლაციის დონემ 2,9 პროცენტი შეადგინა

2014 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 0,8 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ცვლილებამ სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე. აღნიშნულ ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,1 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა იანვრის თვის ინფლაციაში 0,63 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ქვეჯგუფზე (13,0 პროცენტი), ფასები ასევე გაიზარდა ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე (4,5 პროცენტი) და რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (4,2 პროცენტი);

მოცემულ პერიოდში ფასების 0,7 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა ტრანსპორტზე, რაც იანვრის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,08 პროცენტული პუნქტი წვლილით აისახა. ჯგუფში ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (3,4 პროცენტი), ხოლო ფასების კლება დაფიქსირდა სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტზე (-2,8 პროცენტი).

2014 წლის იანვარში 2013 წლის იანვართან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 2,9 პროცენტი შეადგინა.

„საქსტატის“ მონაცემებით, წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე – სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 5,2 პროცენტით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 1,58 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (41,9 პროცენტი), ასევე რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (2,9 პროცენტი). ფასები შემცირდა ზეთსა და ცხიმზე (-3,6 პროცენტი) და ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე (-3,3 პროცენტი); საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი – მოცემულ ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 8,9-პროცენტიანი მატება, რაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,73 პროცენტული პუნქტი წვლილით აისახა. ფასები გაიზარდა საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა-შეკეთებაზე (8,2 პროცენტი); ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ჯგუფზე ფასები გაიზარდა 8,4 პროცენტით, რაც იანვრის წლიურ ინდექსში 0,44 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების მატება დაფიქსირდა თამბაქოს ნაწარმზეც (14,0 პროცენტი). (ინტერპრესნიუსი)

## კონტრაბანდული ჰეროინი... ხალიჩებში



უმკაცრეს სასჯელს ამ ბინძურ საქმეში ჩართული აბსოლუტურად ყველა ადამიანი იმსახურებს, დაწყებული ბოსებიდან, რიგითი გამსაღებლებით დასრულებული!

როგორც ირკვევა, გერმანელმა მებაჟეებმა 45 კილო ჰეროინი ხალიჩების პარტიაში აღმოაჩინეს.



ყველასთვის მოულოდნელ ამ აღმოჩენას რამდენიმე ადამიანის დაპატიმრება მოჰყვა, რომლებიც პოლონეთის, საფრანგეთისა და ბელგიის მოქალაქეები არიან.

საქმის შესახებ სხვა ინფორმაცია ჯერჯერობით უცნობია.

*mainfun.ru*

## მეცნიერებმა ქალებში ღალატის გამომწვევი მიზეზი დაადგინეს



ტერნიმები ზედმეტად მეცნიერულიც კია და შესაძლოა, მხოლოდ სიტყვების რახარუხმა არც არაფერი მოგვცეს, მაგრამ ინფორმაციის მთავარი არსი, ვფიქრობთ, მაინც ძალიან მნიშვნელოვანია.

საქმე ის გახლავთ, ძვირფასო მკითხველო, რომ ტეხასის სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს რეალური მიზეზი, რა უბიძგებს მშვენიერ სქესს ღალატისკენ.

– მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, რომლებშიც ესტროგენული ჰორმონის, ესტრადიოლის დონე მომატებულია, არა მხოლოდ კარგად გამოიყურებიან და საკუთარ თავს ლამაზად მიიჩნევენ, არამედ სხვა ქალებისგან რადიკალურად განსხვავებული წესებით ცხოვრობენ და საყვარელ ადამიანებს ღალატობენ, – აი, ასეთი უსიამოვნოა ამერიკელი სპეციალისტების დასკვნა.




იქაური მედიის ინფორმაციით, მეცნიერებმა 17-დან 30 წლამდე ასაკის რამდენიმე ასეულ ქალს ტესტირება ჩაუტარეს – აუღეს ანალიზები, რათა ესტრადიოლის, ამ საშინელი ჰორმონის დონე შემოწმებულიყო, ამის შემდეგ კი, მათ საკუთარი და ექსპერიმენტის სხვა მონაწილეების გარეგნობის შეფასება დაავალეს.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ესტრადიოლით გაჟღენთილი ქალები მნიშვნელოვნად მომხიბვლელები აღმოჩნდნენ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვების შეფასებითაც.

– ასეთი ქალების დაკმაყოფილება მხოლოდ ერთ პარტნიორს, თითქმის, არასოდეს შეუძლია. სწორედ ამიტომ, ისინი ახალი ნაცნობების გაჩენას და ღალატზე წასვლასაც არ ერიდებიან, – ამტკიცებენ ამერიკელები.

მორჩა! ამიერიდან ესტრადიოლის საწინააღმდეგო კამპანიას ვიწყებთ: ვჭრით და გაგვაქვს რადიატორები... არა, უკაცრავად – ესტრადიოლები!..

*mainfun.ru*

## ამერიკა სალანძღავი სიტყვების თავისუფლებას მოითხოვს!



სიტყვის თავისუფლება გაგვიგია, რა თქმა უნდა, ალმსარებლობის თავისუფლების შესახებაც ვიცით და ორიენტაციის თავისუფლებასაც გვტენიან ზოგიერთები, მაგრამ აი, გინების თავისუფლება კი პირველად გვესმის. ვითომ, ესეც სიტყვის თავისუფლებაში გადის?

ასეა თუ ისე, ამერიკელი უფლებათა დამცველები პენსილვანიის პოლიციას უჩივიან, როგორ ბედავთ და გინების გამო ადამიანებს როგორ აჯარიმებთ, თქვენი და კურკლი გახმესო.

სხვათა შორის, პენსილვანიელმა უფლებათა დამცველებმა უკვე სარჩელიც გააშანშალეს და სასამართლოში მიარბენინეს, უვიცმა პოლიციამ გინების გამო აღარავინ დააჯარიმოსო.

– სამწუხაროდ, ბევრმა სამართალდამცველმა არ იცის, რომ გინება დანაშაული არ არის, – ამბობს მარიკა ტაჰილი, ერთ-ერთი უფლებათა დამცველი და დასძენს, რომ გინებასა და შეურაცხყოფის მიყენებას შორის ძალიან დიდი სხვაობა არსებობს. კერძოდ:

– შეურაცხყოფის მიყენებაა „სექსით დაინტერესება“, – რაღაცას აშკარად მაგრად ურევს ქალბატონი მარიკა, თუმცა მთავარი ის არის, რომ სარჩელი განხილვაში მიღებულია და თუკი სასამართლო უფლებათა დამცველების მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ყველა პოლიციელს, რომელსაც გინების გამო ოდესმე ვინმესთვის ჯარიმა გამოუწერია, სოლიდური კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

პრინციპში, ნახონ პოლიციელებმაც, როგორია, უზარმაზარ ჯარიმას რომ ახდევინებენ ხოლმე მოქალაქეებს!

*vesti.ru*

## რას აირჩევთ — პოტენციის ამაღლებას თუ ყურთასმენის დაკარგვას?



მორიგი უსიამოვნების შესახებ მოიპოვეს ინფორმაცია მეცნიერებმა, რომელიც მამაკაცის პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატის მიღებას მოსდევს – „ვიაგრას“, თურმე, ძლიერ სქესში სიყრუის გამოწვევა შესძლებია.

როგორც ირკვევა, სპეციალისტებმა საკმაოდ ფართომასშტაბიანი კვლევა ჩაატარეს, რომელშიც 40 წელს გადაცილებული 11 ათას 525 მამაკაცი მონაწილეობდა და დაადგინეს, რომ იმ კატეგორიას, რომელიც „ვიაგრას“ ხშირი მომხმარებელი იყო, სმენის ხარისხი მინიმუმ ორჯერ მაინც ჰქონდა შემცირებული.

ზუსტად რა იწვევს ასეთ უსიამოვნებას, ჯერჯერობით მეცნიერები ვერ ამბობენ, რადგან კვლევები ბოლომდე მიყვანილი არ არის, თუმცა ფაქტია, რომ იმედის მომცემი არც პირველადი შედეგებია...

*medkarta.com*

## წამლების ადგილი მაცივარშიაო



შეუსაბამო პირობების გამო, ექიმები ყველა მედიკამენტის აუცილებლად მაცივარში შენახვას და ასევე, ცხელ პერიოდში წამლების შეძენისას დიდი სიფრთხილის გამოჩენას გვირჩევენ.

მოსკოვის ჯანდაცვის დეპარტამენტის სპეციალისტების განმარტებით, გადახურების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარეა: ინექციები, გელები, კრემები და მალამოები, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, მედიკამენტების უმრავლესობის +25 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის პირობებში შენახვა კატეგორიულად არ შეიძლება.

გარდა ამისა, ყურადღების გამოჩენა გმართებთ მედიკამენტების შეძენისას ანომალიურ სიცხეში. პირველ რიგში, უნდა შეეცადოთ, რომ ინექციები შეძლებისდაგვარად, აბებით შეცვალოთ. ასევე, აფთიაქში წამლის შეძენისას, უნდა დააკვირდეთ, ხომ არ არის აბები დაბზარული ან დამტვრეული, ხოლო თხევადი მედიკამენტი, რომელსაც ძირში ნალექი აქვს მოკიდებული, არამც და არამც არ უნდა მოიხმაროთ.

*medportal.ru*

## ამერიკელი ინვესტორები გერმანიისგან ჰიტლერის ვალების გასტუმრებას მოითხოვენ



მართალია, ჰიტლერი არც არავის ბაბუა არ ყოფილა, მაგრამ შესაძლოა, მისმა ნაჭამმა ტყემალმა მთელ გერმანიას მოკვეთოს კბილები – აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ სრულიად კანონიერად აღიარა ამერიკელი ინვესტორების მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, გერმანიის ხელისუფლებამ მათ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს აღებული სესხი თავის პროცენტებთან ერთად უნდა დაუბრუნოს.

უფრო რომ დავაზუსტოთ, გერმანიის წინააღმდეგ სარჩელი ამერიკულმა ფირმამ „ვორლდ ჰოლდინგსმა“ მოამზადა. აღნიშნულ კომპანიას გერმანიისთვის 208 მილიონი აშშ დოლარი პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე უსესხებია, თუმცა ქვეყნის სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ ნაცისტურმა ხელისუფლებამ ვალის გასტუმრებაზე სასტიკი უარი განაცხადა.



დღეს უკვე „ვორლდ ჰოლდინგსი“ თანამედროვე გერმანიისგან 450 მილიონ აშშ დოლარს (რამდენიმე წყაროს მიხედვით, საუბარი 450 მილიონ ევროს ეხება) მოითხოვს.

ჯერჯერობით გერმანიის ხელისუფლება კომენტარების გაკეთებისგან თავს იკავებს, ამერიკელები კი მიზნის მისაღწევად რკინის ქალამნების ჩაცმასა და ვალის ნებისმიერი კანონიერი ხერხით ამოღებას აპირებენ.

*today.kz*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# მეცნიერების მიერ გამოვლენილი საუკეთესო ხუმრობები

ქართული ხუმრობებისა და ანეკდოტების აღქმა უცხოელებისთვის ნამდვილად ძალიან რთული იქნება, ისევე, როგორც ქართველებისთვისაა ძალიან რთულად გასაგები უცხოელების ოხუნჯობანი. ზოგჯერ, ამერიკული ან ევროპული ხუმრობა იმდენად სულელურად ჟღერს, კი გაგეცინება კაცს, მაგრამ არა მის შინაარსზე, არამედ უფრო იმაზე, რამდენად დიდ უაზრობაზე ხორხოცებენ „დიდი ცივილიზაციის შვილები“.



როგორ აღიქვამთ ევროპულ და ამერიკულ ხუმრობებს თქვენ, ძვირფასო მკითხველო, ძალიან გვაინტერესებს და ამის გაგება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც ქვემომოყვანილ ინფორმაციას გულდასმით წაიკითხავთ.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს (ძირითადად, მაინც ევროპულის და არა მთელი მსოფლიოს) საუკეთესო ხუმრობების გამოსავლენად ბრიტანელმა მეცნიერებმა საკმაოდ მასშტაბური კვლევა ჩაატარეს. კერძოდ, მათ რამდენიმე მილიონი ხუმრობა მოისმინეს, მათ შორის, 40 ათასს დადებითი შეფასება მისცეს, დანარჩენი კი ისტორიას დაუტოვეს – იქნებ, ოდესმე ვინმემ გაიღიმოს მაინცო.

ხუმრობა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, ფსიქოლოგებისგან, ფსიქიატრებისგან და სხვა პროფესიის მეცნიერებისგან დაკომპლექტებულ ჟიურის ბრიტანელმა, კერძოდ კი მანჩესტერელმა მეხანძრემ, გარპალ გოსელმა წარუდგინა. ის შემდეგნაირად ჟღერს:

– ორი მონადირე ტყიდან გამოდის, უეცრად ერთ-ერთი გონებას დაკარგავს და გაყინული სახით მიწას დაენარცხება. მისი მეგობარი მაშინვე სასწრაფოში დარეკავს და მორიგეს მოახსენებს:

„სანადიროდ ვიყავით, მეგობარი გარდაიცვალა! მიშველეთ რამე, როგორ მოვიქცე“. ოპერატორი პასუხობს: „დამშვიდდით, აუცილებლად დაგეხმარებით, მაგრამ ჯერ დარწმუნდით, რომ თქვენი მეგობარი მართლა გარდაიცვალა“. ამ სიტყვების შემდეგ ყურმილში სიჩუმემ დაისადგურა, უცბად გასროლის ხმა გაისმა და: „აჰა, ის მართლა მკვდარია. ახლა რა ვქნა?“..

– საუკეთესო ხუმრობა შოტლანდიიდან: „მინდა მშვიდად და უშფოთველად მოვკვდე, როგორც ბაბუაჩემი და არა ისეთი ყვირილით, როგორც მისი მგზავრები“...

– საუკეთესო ხუმრობა ამერიკიდან: ორი მამაკაცი გოლფს თამაშობს. უეცრად დაინახავენ, ჭირისუფლებთან ერთად გზაზე კატაფალკა ჩაივლის. ერთ-ერთი მოთამაშე ქუდს მოიხდის და პირჯვარს გამოისახავს. მეგობარი ეტყვის: „ეს ყველაზე გულის ამაჩუყებელი ჟესტი იყო, რომელიც ოდესმე მინახავს. როგორი კეთილი ყოფილხარ“. ქუდმოხდილი უპასუხებს: „არა, უბრალოდ, ჩემს ცოლს მარხავენ, 35 წელი ერთად ვცხოვრობდით“...

– საუკეთესო ხუმრობა ბელგიიდან: „რატომ აქვთ იხვებს აპკოვანი კიდურები? იმიტომ, რომ ცეცხლი ჩააქრონ. და სპილოებს რატომ აქვთ ბრტყელი ფეხები? იმიტომ, რომ ცეცხლწაკიდებული იხვები დასრისონ“...

ბრიტანელების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად სხვა საინტერესო შედეგებიც გამოვლინდა. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ გერმანელებმა, რომლებიც იუმორის გრძნობით დიდად არ გამოირჩევიან, აბსოლუტურად ყველა ხუმრობა სასაცილოდ ჩათვალეს, როცა კაციშვილს არ ეცინებოდა, ხოლო ირლანდიელებმა, ბრიტანელებმა, ავსტრალიელებმა და ახალზელანდიელებმა მაღალ შეფასება მისცეს ხუმრობებს, რომლებშიც სიტყვათა თამაში იყო გამოყენებული.

***membrana.ru***



ახალგაზრდა მამაკაცი საავადმყოფოში მოხვდა – სამი ნეკნი აქვს გატეხილი, ტვინის შერყევა, კბილები ჩამტვრეული, თვალები ჩალურჯებული, კიდურები მოტეხილი... ექიმი ეკითხება:

– ავარიაში მოყევით?

– ეჰ... არა, კარადაში დამაცემინა...

*****



– დაგისხა?

– არა, საქესთან ვარ.

– და მანქანით რას მოდიოდი, ვერ დატოვე?

– რა ვიცი, ვჩქარობდი – უჩემოდ არ დაიწყონ-მეთქი დალევა...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ,***
***დავით ახობაძის ნახატები***



## სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

მეუღლე თამარ აბზიანიძე, შვილები: გულიკო და ნანა გეგუჩაძეები, სიძე ტარიელ ღვაბერიძე, შვილიშვილები: გიორგი, გვანცა, მაიკო ღვაბერიძეები, ირა, თამარ ბეროზაშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რევაზ მექის ძე გეგუჩაძე**

**პანაშვიდი:** 4, 5 თებერვალს; **მისამართი:** ავჭალა, გაზების დასახლება;

გამოსვენება: 6 თებერვალს, 14 საათზე ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიიდან (გლდანი, „ვარდების რევოლუციის“ პარკთან).

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## ტეხასის ოლქის ხელისუფლება შეცდომით, სხვა დროშას იყენებდა




ტარი კი ჰქონდათ, თანაც, საკმაოდ გამძლე, მაგრამ რამდენიმე წლის მანძილზე მასზე ჩილეს რესპუბლიკის დროშას კიდებდნენ, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი ოლქის დროშა აეფრიალებინათ.

როგორც ირკვევა, ეს კურიოზული შემთხვევა ამერიკაში, კერძოდ კი ტეხასის შტატის ატასკოსის ოლქში სულ ახლახან გამოვლინდა.

რაც ყველაზე საინტერესოა, უპატიებელი შეცდომა არა თავად ჩინოვნიკებმა ან ადგილობრივებმა შეამჩნიეს, არამედ ის იაპონიის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ამერიკელმა სტუდენტმა გამოავლინა.

ტეხასის შტატის საოლქო მთავრობის მეთაურის, ტროი კნუდონის თქმით, ის შეშფოთებული და გაკვირვებული აღმოჩნდა, როცა სტუდენტმა ასეთ შეცდომაზე მიუთითა.

– მართალია, მომხდარი ხუმრობას ჰგავს, მაგრამ მაინც ძალიან მწყინს, რომ შეცდომა წლების მანძილზე ვერავინ შეამჩნია, – ხელები სხვას შეაწმინდა ოლქის ხელმძღვანელმა, როცა პასუხისმგებლობა თავადაც უნდა გაეზიარებინა, თუმცა შუბლზე ძარღვგაწყვეტილი ჩინოვნიკებისთვის არც დროშას და არც მის ტარს გავლენის მოხდენა, სამწუხაროდ, არ შეუძლია. ამის ცოდნაში ქართველებს კაციშვილი ვერ შეგვედრება.

დაისაჯა ან დაისჯება თუ არა ვინმე ასეთი სულელური შეცდომის დაშვებისთვის, არ ზუსტდება.

***telegraph.co.uk***

## ამერიკაში ხორცის გემოს მქონე საღეჭი რეზინის შექმნას აპირებენ



თუკი დიეტაზე მყოფ ადამიანს ვთქვათ, ცვრიანი მწვადის ან ოხშივარადენილი ჩაქაფულის გემოს გასინჯვა მოუნდება, შეუძლია მოთხოვნილება ისე დაიკმაყოფილოს, რომ ზედმეტი კალორიები თითქმის არ დაიმატოს.

საქმე ისაა, რომ ამერიკელ მეცნიერებს გაუჩნდათ იდეა, შექმნან საღეჭი რეზინები, მაგალითად, ბოსტნეულის ან ხორცის არომატით.

ცნობილია, რომ უჩვეულო კევი განსაკუთრებული ტექნოლოგიის მიხედვით უნდა მომზადდეს, რომელიც არომატული დანამატების მიკროსკოპულ კაფსულებში მოთავსებას გულისხმობს.

საინტერესოა, რომ ამ დროისთვის უკვე შექმნილია საღეჭი რეზინი, ტომატიანი წვნიანისა და შემწვარი კარტოფილის გემოთი, თუმცა ჯერჯერობით მათი გაყიდვა არ დაწყებულა, რადგან იდეის ავტორებს ტექნოლოგია კიდევ დასახვეწი აქვთ.

***glamur.ucoz.net***

გაზეთები ალია და ქრონიკა

**სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს**

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**4 თებერვალი:** სანამ საერთო განწყობას აყვებით, კარგად დაფიქრდით, გიღირთ? იქნებ გარშემომყოფებთან ოპონირების რეჟიმში ყოფნა სჯობია.

**კურო 22.04-21.05**
**4 თებერვალი:** შესაძლოა, დღეს ახალი ჰობი გამოგიჩნდეთ. გამოიყენეთ უპირატესობა, რომელსაც ის მოგცემთ. შეიძლება ეს უნარები ძალიან გამოგადგეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**4 თებერვალი:** დრო საკმაოდ გექნებათ, მაგრამ იმის მოფიქრება, როგორ გაატაროთ ეს დრო, გაგიჭირდებათ. თუ სხვათა აზრებით იმოქმედებთ, სიურპრიზებს ელოდეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**4 თებერვალი:** კარგია დღეა, ნებისმიერი სახის ცვლილებებისთვის. კარგად დაფიქრდით, რისი შეცვლაა საჭირო და იმოქმედეთ.

**ლომი 23.07-22.08**
**4 თებერვალი:** დღეს ფიზიკური დატვირთვები არ გაწყენდათ, ამით თქვენს აფორიაქებულ სულს დაამშვიდებდით და გაუაზრებელი შეცდომების დაშვების რისკს შეამცირებდით.

**ქალწული 23.08-22.09**
**4 თებერვალი:** შესაფერისი დღეა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად საქმეებისთვის, რომელიც ცნობად სახედ გაქცევთ. მაგრამ გჭირდებათ კი, ასეთი რამ?

**სასწორი 23.09-22.10**
**4 თებერვალი:** შეიძლება მოულოდნელად ისეთი ჭორების გავრცელებაში დაგადანაშაულონ, რომელთა შესახებ, არც კი გსმენიათ. შეეცადეთ, ალიბი წინასწარ შეიმზადოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**4 თებერვალი:** დღეისთვის დაგეგმილი საქმეების მოსწრებას გამოდევნებულმა შეიძლება ფაციფუცი დაიწყოთ და ყველაფერი გააფუჭოთ. დამშვიდდით, დინჯად იმოქმედეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**4 თებერვალი:** შეიძლება გაუთვალისწინებელ შეცდომებს წააწყდეთ. მათი გადალახვა დიდ ენერგიას წაგართმევთ, მაგრამ აღებულ კურსს შეინარჩუნებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**4 თებერვალი:** დღეს ყველაფერი იმაზე ბევრად უკეთესად უნდა იყოს, ვიდრე გუშინ. მათ შორის, თქვენი ქცევაც.

**მერწყული 20.01-18.02**
**4 თებერვალი:** სულ მცირედი ფინანსური ოპერაციის დროსაც კი მაქსიმალური წინდახედულება გმართებთ. იქნებ უმჯობესია, ეს ოპერაცია საერთოდ არ განახორციელოთ. ხვალ ამ ფულს უკეთესად გამოიყენებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**4 თებერვალი:** თქვენთვისაც კი უცნობი მიზნის მისაღწევად იქნებით შემართული. კარგი დღე არ დაადგებათ მათ, ვინც თქვენს წარმატებაში ეჭვს შეიტანს.

## ბიოდიზელის საწვავი პირდაპირ... კანალიზაციიდან




ვიდრე ქართველები ღვთისგან ნაბოძები ბუნებრივი სიმდიდრის მოვლას ვისწავლით და მისი გადამთიელების ხელში ჩაგდებას დავანებებთ თავს, ამერიკელები განავალსაც კი არ უშვებენ ხელიდან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, კანალიზაციიდან და ბიოდიზელის საწვავის წარმოების დაწყებას ცდილობენ, რაც, პრინციპში, გამოსდით კიდეც.

როგორც ირკვევა, არსებულ ტექნოლოგიას ბიოდიზელის საწვავის წარმოება კანალიზაციის მილებში დაგროვილი მასიდან შეუძლია, რომელიც ნავთობისგან დამზადებულ საწვავზე უმნიშვნელოდ ძვირი ღირს და საკმაოდ მაღალი კონკურენტუნარიანობითაც გამოირჩევა.

ამერიკელების განმარტებით, ბიოდიზელის საწვავზე მოთხოვნის ზრდამ ლოგიკურად დააყენა დღის წესრიგში რენტაბელური ნედლეულის მოპოვების საკითხი. მართალია, ამისთვის სოიო, მზესუმზირის მარცვლები და სხვა მცენარეული კულტურა კი გამოიყენება, მაგრამ გაცილებით დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამდენად, არჩევანი ფეკალიებზე შეჩერდა, რადგან ის, ფაქტობრივად, უფასოა და რაც მთავარია – არასოდეს გამოილევა, თუკი მსოფლიოში მასობრივი შიმშილი არ დაიწყება. ესეც თქვენი „რენტაბელური ნედლეული“.

– იმისთვის, რათა წარმოების მოცულობა გაიზარდოს, შესაძლებელია, მიკროორგანიზმების გამოყენებაც, რითიც უფრო ხარისხიანი პროდუქტის მიღებაც კი შეიძლება, – განმარტავენ ამერიკელები.

მოკლედ, ამ მიმართულებით ამერიკელები სერიოზული ნაბიჯების გადადგმას და დიდი ინვესტიციების ჩადებას აპირებენ და ალბათ, უახლოეს მომავალში საინფორმაციო საშუალებებში იტყვიან ხოლმე: ქაქპროდუქტების ღირებულებამ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა და ფასი რამდენიმე პუნქტით გაიზარდა...

ეეჰ, ვიდრე ქართველები ღვთისგან ნაბოძები ბუნებრივი სიმდიდრის მოვლას ვისწავლით...

***factroom.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



სტომატოლოგის კაბინეტთან დიდი რიგია. ბორმანქანის ჩუმი ზუზუნი უცბად ჯოჯოხეთური ღრიალით შეიცვალა. ერთი წუთის შემდეგ კაბინეტიდან მამაკაცი გამოვარდა შეშლილი სახით.

რიგში მდგომმა პაციენტებმა ლამის ერთხმად ჰკითხეს:

– მართლა ასეთი მტკივნეულია?!

მამაკაცმა პირიდან მოქმული თითი გადმოაგდო:

– ჰო, მართლა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

»211359457

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ძევანიშვილი

რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.00

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.